პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ბრძოლის ხმა

1935 წ. დეკემბერი
პარიზი

№ 57

1935 — DECEMBRE
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა :: «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.



ანანია სალუქვაძე

მიიღეთ სამწუხარო ცნობა. გადასახლებაში დალია სული ჩვენი პარტიის ერთ უდიდეს ორგანიზატორთაგანმა ანანია სალუქვაძემ.

ვის არ გაუგონია, ვის არ უნახავს ჩვენს პარტიაში ანანია; ნოე რამიშვილის და ნოე ხომერიკის გვერდით ის იყო მესამე პირი, დიდი მასშტაბით მომუშავე, თავდადებული, უშიშარი და დაუღალავი აგიტატორი, ორგანიზატორი, შეუდრეკელი მებრძოლი. მისი ცხოვრება—ეს არის ასლი იმ ცხოვრების, რითაც ხასიათდება მეოთხმოცდაათე წლებში დაბადებული და პოლიტიკურ სარბიელზე გამოსულნი ხალხის შვილები.

ანანია დაიბადა 1888 წელს. 11 წლის ათავებს სახალხო შკოლას და მაშინვე ეწაფვის «აკრძალული» წიგნების კითხვას და მუშაობს თვითგანვითარებისათვის. ამ გატაცებით შეწუხებული მისი მამინაცვალი ჯამულეთი ქარცივაძე ცდილობს ის მოსტაცოს წიგნებს და ჩააბას სავაჭრო საქმეში. ამ მიზნით მას უხსნის დუქანს სოფ. ვაშლოვანში. ანანია დუქანს აქცევს ორი რაიონის პროპაგანდისტების ცენტრათ, ხოლო საქონელს ურიგებს «ნისიათ» გლეხებს და ამხანაგებს. ერთ დღეს დუქანს ალყას არტყამს პოლიცია, სჩხრეკს, ნახულობს მრავალფეროვან რევოლიუციურ ლიტერატურას, ბროშიურებს, პროკლამაციებს და სხ. ანანიას ატუსაღებენ. მამინაცვალის მეოხებით მას ათავისუფლებენ და ართმევენ პირობას—ამიერიდან ასეთ ნაწერებს არ მიეკარებოდა. იწყება 1906 წ. რეაქცია, გურია იცლება რევოლიუციონერებით; 17 წლის ანანია იჭერს მათ ადგილს, დადის სოფელ-სოფელ და აკავშირებს დანგრეულ ორგანიზაციებს, ავრცელებს ფურცლებს და ბროშიურებს, ეწევა პროპაგანდას. პოლიცია მას დაეძებს ყველა კუთხეში დასაჭერათ და როცა ვერას გახდა, იბარებენ მამინაცვალს და აძლევენ წინადადებას—ან მოიყვანე შენი შვილი ან ციხეში ჩაჯდებიო. გულგახეთქილი ჯამულეთი მოსძებნის ანანიას და ეხვეწება, ნუ მღუპავ, გამოცხადდი პოლიციაშიო. ანანია თანხმდება; ერთ დღეს მართლაც ცხადდება, მაზრის უფროსი გახარებული გამორბის კაბინეტიდან მის სანახავათ და როგორც დაინახავს პატარა ბიჭს—საშინლათ აყვირდება, როგორ თუ მატყუებთ, ანანიათ გინდათ გაასაღოთ ვიღაც ლაწირაკიო. მას პოლიციიდან გააგდებენ და იბარებენ მამინაცვალს დასაჭერათ. ანანია სიხარულით გარბის და იმალება. სიმართლე ჩქარა ირკვევა, მაგრამ ანანია არსად არის. არალეგალურ მუშაობაში ატარებს რამდენიმე წელს, სანამ 1911 წელს არ გაიწვევენ ჯარში.

ანანია დაავათმყოფდა სამხედრო სამსახურში ფილტვებით და ჩქარა სამშობლოში დაბრუნდა, მოლონიერებისთანავე ის განაგრძობს რევოლიუციურ მუშაობას გურიაში. ესწრება 1915 წელს პარტიულ კონფერენციას. ამავე წელს ის გადადის თფილისში, საოლქო კომიტეტის განკარგულებაში, როგორც პროფესიონალური რევოლიუციონერი. მუშაობს ორგანიზაციებში, თანამშრომლობს პარტიის პრესაში; დასწერა მოთხრობა «ტყის ძმები», გურიის მოძრაობიდან და საინტერესო გამოკვლევა აბასთუმანზე ძველი წყაროების მიხედვით. ესწრება საოლქო კომიტეტის დავალებით გურიის კომიტეტის და სხვა ხელმძღვანელ ორგანოების თათბირებს. რევოლიუციიდან ანანია ჩაება ახალ აშკარა მუშაობაში; ის დადის სოფელ-სოფელ და მოუწოდებს ხალხს თავდაცვისაკენ ოსმალთა წინაალმდეგ. ადგენს რაზმს და იარაღით ხელში ებრძვის ბოლშევ-ბის კონ.-რევ. გამოსვლებს. მუშაობს სასოფლო კომისიაში, ატარებდა სოფლათ აგრარიულ რეფორმას; ილწვის გვარდიის შტაბში, არჩეულია დამფუძნებელ კრების წევრათ.

საქართველოს დაპყრობისთანავე ის იწყებს არალეგალურ მუშაობას ოკუპანტების წინაალმდეგ, იღებს მხურვალე მონაწილეობას პირველი საჯარო პარტიული კრების მოწყობაში სახაზინო თეატრში, სადაც გამოიტანეს ცნობილი რეზოლიუცია ოკუპაციის წინაალმდეგ (10 აპრილს); ანანია შეუდგა თფილისის ორგანიზაციების აღდგენას; იბარებს კომიტეტის ძველ წევრებს და აძლევს წინადადებას განაგრძონ მუშაობა; აღდგენილი ორგანიზაციები მას ირჩევენ განახლებული კომიტეტის თავმჯდომარეთ; მისივე თაოსნობით ეწყობა პირველი არალეგალური სტამბა; მისი თავმჯდომარეობით დგება თათბირი ც. კ. და თფილისის კომიტეტის, სადაც აწყობენ პლანებს როგორ შეხვდენ სტალინს ნაძალადევის მიტინგზე. მიტინგი გათავდა ჩვენი პარტიის ტრიუმფით და სტალინის გაშავებით. მაშინვე დაიწყო მასიური დატუსაღება; ანანია დაატუსაღეს სხვებთან ერთათ და მოათავსეს ჩეკაში, საიდანაც ავადმყოფობის გამო გადაიყვანეს საგუბერნიო ციხეში. ერთი ძველი მეგობარი ბოლშევიკის წყალობით ჩქარა გაანთავისუფლეს. ის მაშინვე გადაიმალა. ის იმ დროს არის ც. კ-ს პრეზიდიუმის წევრი, აბამს კავშირს საზღვარ-გარეთ და გვაწვდის სისტემატიურათ ინფორმაციას. სილვას ავათმყოფობის გამო ანანია ხდება მთავარი ძარღვი მოძრაობის, მისი ორგანიზატორი, ფურცლების დამწერი, ხაზის მიმცემი, ხელმძღვანელი. თავის ირგვლივ იკრებს ახალგაზდობას, აარსებს მის ორგანიზაციას, ქმნის ახალ კადრებს. როცა გადაწყდა სამხედრო ორგანიზაციების შექმნა, ანანია აარსებს თფილისის სამხედრო ბიუროს, აწყობს ყოფილ გვარდიელთა ორგანიზაციებს, აწყობს ცნობილ მუშათა დელეგაციას რევკომთან, ერთი სიტყვით მისი პირადი ხელმძღვანელობით ჩატარდა მრავალფეროვანი ორგანიზაციური მუშაობა. მანვე დასწერა სხვებთან ერთათ მუშათა დელეგაციის ცნობილი მემორანდუმი, რაიცა შემდეგ ჩვენ დავბეჭდეთ ევროპიულ ენებზე. მანვე დაარსა პროფესიონალურ კავშირებში პარტიული ბიურო, მათ სახელმძღვანელოთ. როგორც კი სტამბა ჩავარდა, ერთ კვირაში მანვე მოაწყო მეორე სტამბა ავათმყოფობის დროს აბასთუმანში. ანანიამ მიიღო აქტიური მონაწილეობა გენუის მემორანდუმის შედგენაში და მასზე ხელის მომწერთა შეგროვებაში. მანვე გადმოგზავნა მემორანდუმი საზღვარ-გარეთ. ჩეკამ გადადვა პრემია მის დასაჭერათ. სილვას სიკვდილის შემდეგ, (თებერვალი 1922 წ.) ანანია ხდება ყველა პოლიტიკური გამოსვლების ხელმძღვანელი მთელ საქართველოში; მისი მონაწილეობით იქნა დადებული პირველი ხელშეკრულობა პარტიათა შორის და ჩაუყარა საფუძველი ინტერპარტიულ კომიტეტს. ანანია იჭერს კავშირს აჯანყებულ სვანეთთან, უგზავნის ხალხს, დირექტივებს, ლიტერატურას. მას ფეხდაფეხ ედევნება ჩეკის მრავალრიცხოვანი აგენტები. ჩავარდა მათ ხელში აგვისტოში (1922 წ.) თფილისის კომიტეტთან ერთად. ციხეში ის გამოაცხადეს ბოლშევიკებმა მძევლათ ოც სხვა რჩეულ ამხანაგებთან. ციხიდან ის განაგრძობს გარეთ დარჩენილ ამხანაგების ხელმძღვანელობას: 1923 წ. ნოემბ. ის იგზავნება სუზდალის ციხეში, სადაც დაჭლექებული მძიმე ავათ ხდება. ამის გამო მას, როგორც ფილტვებით ავათმყოფს, აგზავნიან ლივადიაში. აქედან ის აბამს მიწერ-მოწერას ჩვენთან, საზღვარგარეთ და გვამხნევებს *). ჩეკამ ამ მიწერ-მოწერისათვის ლივადიიდან გადაასახლა კაზაკისტანში, სადაც ამა წლის 25 ოქტომბერს ქ. ალმაცაში გარდაიცვალა.

დავკარგეთ დიდი კაცი, დიდი მებრძოლი; მისი ნაშრომი დარჩება სამუდამოთ ქართველი ხალხის გულში.

*) ანანიას უკანასკნელ დიდ წერილს შემდეგ ნომერში გამოვაქვეყნებთ.

ინტერნაციონალში

2. საფრანგეთის მაგალითი.

რაკი ევროპის დიდ პარტიათა შორის საკომინტერნო ხაზს გაყვა ერთათ ერთი საფრანგეთის სოციალისტური პარტია, ისმება საკითხი: ეს მაგალითი იძლევა საბუთს მისი სხვა პარტიებზე გავრცელებისა თუ პირიქით, ის არის საბუთი სწორეთ მისი განმეორების წინაალმდეგ?

ფორმალური თვალსაზრისით შედგა ერთი ფრონტი საფრანგეთის სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიათა შორის. მაგრამ სინამდვილეში კი ეს ასე არის?

სოციალისტური პარტია წარმოადგენს მოქალაქეთა თავისუფალ დაჯგუფებათ, მათ მიერ თავისუფლათ მიღებულ და დათანხმებულ პოლიტიკურ და სოციალურ პროგრამაზე, თავისი თავის მართველს, თავისი ბრძოლის, თავისი ტაქტიკის საჯაროთ გამომუშავებულ და გამტარებელ პოლიტიკურ ერთეულს. ის არის წევრი ასეთივე საფუძველზე აგებული ინტერნაციონალის.

კომუნისტური პარტია არის ნაწილი კომინტერნის, ხოლო კომინტერნი არის საბჭოთა მთავრობის დაწესებულება, მის მიერ შექმნილი, შენახული, მისი იარაღი, მისი საშინაო და საგარეო მუშაობის აპარატი, მისი ხელქვეითი ორგანო. კომინტერნის სექცია წარმოადგენს არა პარტიას, არამედ რაზმს, არმიას, სამოქალაქო ასპარეზისათვის მომზადებულს და იქ გაგზავნილს განსაკუთრებითი დავალებით. ამიტომ ის იკრიბება და ეწყობა არა როგორც პარტია, არამედ როგორც არმია, მაღლიდან, მოსკოვის მთავრობის აგენტების არჩევით, ხარჯით და წინამძღოლობით. გამარჯვებული ბოლშევიკური პარტიის სტრუქტურა რუსეთში ასლია გამარჯვებული ფაშისტური პარტიისა გერმანია-იტალიაში.

მაშასადამე, კომუნისტურ პარტიასან გადაკავშირება ნიშნავს გადაკავშირებას არა მართლა პარტიასან, არამედ უცხო სახელმწიფო ძალასან, მოსკოვის ხელისუფლებასან, რომელიც მუშაობს დესპოტიური მეთოდებით და იმყოფება ყოველი ფორმის თავისუფალი, საზოგადოებრივი კონტროლის გარეშე. საგარეო ასპარეზზე ის გამოდის ორი თავისი უწყების შემწეობით: მთავრობათა წინაშე დიპლომატიური აპარატებით, ხალხთა წინაშე კომუნისტური ორგანიზაციებით.

კომუნისტურ პარტიათა ეს თანდაყოლილი ბუნება სწორეთ ასე ესმოდა მუდამ საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას, რაიცა მან გამოთქვა ტულუზის ცნობილ რეზოლიუციაში ბოლშევიზმზე. აქ ვკითხულობთ: «ყველა ქვეყნის კომუნისტების იდეიაა დაუმორჩილოს თავისი მოქმედება რუსეთის მთავრობის ინტერესებს, რომელთაც ყალბათ მიაჩნიათ ის პროლეტარიატის რევოლიუციური შესაძლებლობის სათავეთ». ცხადია, კონგრესის აზრით, კომუნისტებთან კავშირი ნიშნავდა კავშირს რუსეთის მთავრობასან, მის გავლენის ორბიტაში შესვლას. ამიტომაც პარტია აქ წინაალმდეგი იყო არა მარტო ერთი ფრონტის, არამედ კომუნისტებთან ერთ რაიმე საერთო ორგანიზაციაში მუშაობის და ერთათ საჯარო ასპარეზზე გამოსვლის (ამსტერდამის, საბჭოთა მეგობართა, წითელი შემწეობის და სხვა ორგანიზაციები).

ამავე დროს ფაქტია ის, რომ კომუნისტურ პარტიაში იმყოფებიან მუშები, სოციალისტურათ განწყობილნი და მხოლოდ დროებით სწორი გზიდან გადახვეულნი. ამ კომუნისტებთან კავშირი, მათი შემობრუნება საჭირო და აუცილებელია. მხოლოდ რა გზით? გზა ერთათ ერთია, მათი განთავისუფლებით რუსეთის მთავრობის ბრჭყალებისაგან, თავისუფალი პარტიის თავისუფალ წევრათ გადაქცევით. კომუნისტური პარტიის მოშლა, მისი სოციალისტურ პარტიაში გათქვეფა და მით მათი ორგანიული თვითმართველი მთლიანობის აღდგენა—ერთათ ერთი მისაღები საშუალებაა. ამ ხაზზე დადგა საფრანგეთის სინდიკატების კონფედერაცია მტკიცეთ და კიდევაც გაიმარჯვა. კომუნისტი სინდიკატები ბოლოს და ბოლოს იძულებულნი გახდენ მიეღოთ მთლიანობის წინადადება, უარი ეთქვათ ერთი ფრონტის იდეიაზე და მით მოესპოთ წითელ პროფკავშირებზე დამოკიდებულება. მართალია, მოსკოვი არ მოიშლის თავის წესს, აქაც გაიჩენს თავის ფრაქციებს, გააჩაღებს შინაურ ინტრიგებს, მაგრამ ეს იქნება ნაწარმოები არალეგალურათ, წინაალმდეგ სტატუსისა და მიიღებენ სამაგიერო სასჯელს, როგორიც მიიღეს ლენინისტ-ტროცკისტებმა სოციალისტ ახალგაზდებისაგან.

სოციალისტური პარტია თავიდანვე უარსყოფდა მთლიან ფრონტს; «ლუმანიტეს» სიტყვით, 1922 წლიდან პარტიას მიეცა ასეთი წინადადება კომუნისტებისაგან 27-ჯერ და ყოველთვის უშედეგოთ. კომუნისტები უარყოფდენ ორგანიულ მთლიანობას, სოციალისტები ბლოკს. პირველნი პირდაპირ აღიარებდენ, რომ ერთი ფრონტი მათთვის მანიოვრია სოციალისტების დასარღვევათ. ისინი სწერდენ: «ერთი ფრონტის ტაქტიკის მიზანია გამომჟღავნება ლიდერების გამცემლობის; კომუნისტური პარტიისათვის აუცილებელია მასების გამოგლეჯა რეფორმისტების ხელიდან და მისიმეთაურობის თვითონ აღება» *).

*) Populaire. 20.2.34.

ამნაირათ, ერთი ფრონტი ნიშნავდა სოციალისტებისათვის მოსკოვის მთავრობის გავლენის სფეროში შესვლას და თავის ხარჯზე კომუნისტების გაძლიერებას.

და აი, სრულიად მოულოდნელათ ისინი სტოვებენ ამ ნიადაგს და შარშან ივლისში ადგენენ კომუნისტებთან ერთ ფრონტში შესვლას. რა მოხდა? რა ახალი გარემოება დატრიალდა? 6 თებერვლის გამოსვლა? მაგრამ სწორეთ ამის შემდეგ ერთ ფრონტზე უარი თქვა პარტიამ ორჯერ, მაისში და ივნისში. ჰიტლერიზმი? ეს ხომ ერთი წლის წინანდელი ამბავია, რის გამო არც ინტერნაციონალს, არც პარტიას თავისი დამოუკიდებელი ხაზი არ დაუტოვებია. ან შეიძლება კომუნისტურ პარტიამ უარი თქვა მანიოვრებზე, ერთი ფრონტის სოციალისტების დასასუსტებლათ გამოყენებაზე? სრულიადაც არა. ახლაც იმეორებენ იმას, რასაც წინეთ სწერდენ და რაც ლებამ ნათელჰყო პარტიისათვის *). ცხადია, მდგომარეობა არ შეცვლილა, არც პოლიტიკური, არც პარტიული, არც ინტერპარტიული, ხოლო სოციალისტები კი მაინც იცვლიან პოზიციას, და ამასაც საჩქაროთ, რაღაც ერთი თვის განმავლობაში, ივნისიდან ივლისამდე. უეჭველია რაღაც ახალი ამბავი უნდა მომხდარიყო, რამაც მოახდინა მათზე გადამჭრელი გავლენა.

და მართლაც, მოხდა სრულიად მოულოდნელი, უჩვეულო მოვლენა; სწორეთ გასული წლის გაზაფხულიდან იწყება რადიკალური პარტიის ბოლშევიზანობა და აშკარათ მოსკოვის ხაზზე დადგომა. ეს პროცესი დაიწყო ჰერიოს მოგზაურობით რუსეთში და მისი წიგნის გამოსვლით საბჭოთა რეჟიმის შესახებ. გაჩაღდა კულისების მუშაობა, მოსკოვ-პარიზის მოლაპარაკება და ერთბაშათ რადიკალების პოზიციის გამოცვლა. მათი ლიდერები მასიურათ ეწერებიან პრობოლშევიკურ ორგანიზაციებში, ხელმძღვანელობენ «საბჭოთა მეგობართა» საზოგადოებებს, გამოდიან მათ ყრილობებზე და ქებათა-ქებას ასხამენ საბჭოთა ხელისუფლებას. საკმარისია მოვიხსენიოთ ამ საზოგადოებათა საპატიო თავმჯდომარენი: ჰერიო, პარტიის თავმჯდომარე, დელბოსი და ქალბროტ თავმჯდომარის ამხანაგები, პიერ კოტი ყოფილი მინისტრი, პოლ ბასტიდი პალატის საგარეო კომისის თავმჯდომარე და სხვა მრავალი გავლენიანი რადიკალები. ამათი მეთაურობით იმართება კომუნისტ-რადიკალური ყრილობები სახელწოდებით «ფრანგ-საბჭოთა დღეები», სადაც ბურჟუაზია გამოთქვამს აღტაცებას საბჭოთა «ბრწყინვალე მიღწევებით». რაშია საქმე? საქმე იმაშია რომ იწყება ორი ქვეყნის დაახლოვება საგარეო მომენტის ხაზზე. მოსკოვი ეძებს ომში მოკავშირეს საფრანგეთში, საფრანგეთი ეძებს მოსკოვში. ნაციონალური ალიანსის დასაბუთება ხდება ორივე მხრით ერთი და იგივე მეთოდით—რადიკალები ემხრობიან საბჭოთა რეჟიმს რუსეთში, სტალინი და მისი რაზმი კომუნისლური პარტია მხარს უჭერენ ბურჟუაზიულ დემოკრატიას საფრანგეთში. რადიკალებ-ბოლშევიკების ბლოკი ყალიბდება.

ამ ორი მხრით მოწოლილ ტალღამ შეარყია სოციალისტური რიგები, გასტეხა პარტიის სიმტკიცე და შეათრია ის სახელდახელოთ გამოგონებულ რუსულ-ფრანგულ ნაციონალურ ბლოკში. მართალია მას არ მიუმართავს რადიკალების მეთოდისათვის, გუნდრუკი არ უკმევია საბჭოთა რეჟიმისათვის, მაგრამ სამაგიეროთ არც მისი კრიტიკა გაუგრძელებია. პარტია დღეს დუმს იმაზე, რასაც ათეული წლების განმავლობაში მჭერმეტყველურათ ამხელდა.

ამნაირათ, ერთი ფრონტის საკითხი გადასჭრა არა პოლიტიკურ და სოციალურ მომენტმა, არამედ ნაციონალურმა. პარტია შევიდა კომუნისტების გზა და ხიდით რუსეთის მთავრობის ორბიტაში. ეს ფაქტი გამოჩნდა მაშინვე როგორც კი პირველი საერთო გამოსვლა მოაწყვეს, გასული წლის აგვისტოში ბულიეს დარბაზში და რასაც წინ უსწრებდა ასეთი განცხადება ორივე პარტიისა: «წინაალმდეგ იაპონიის პროვოკაციისა, რომელსაც სურს ომი, დასაცავათ საბჭოთა კავშირისა, რომელსაც სურს მშვიდობიანობა!» და სხ. **) პარტია გადაება კრემლს.

ამ გარემოებას არ შეეძლო არ მოეხდინა ღრმა გავლენა პარტიის ტაქტიკაზე. კრემლის მთავარი მიზანია რეჟიმის გადარჩენა, რასაც მისი აზრით ემუქრება გარეშე მტერი. მაშასადამე, შექმნა საფრანგეთში ისეთი მთავრობის, რომელიც მისი ერთგული დარჩება ბოლომდე, ხმალით ჩაერევა მოსალოდნელ საგარეო გართულებაში მის გვერდით—მისი მთავარი სადღეისო ტაქტიკური მოხაზულებაა. ხოლო ეს მიმდინარეობა მოითხოვს თავის მხრით სამხედრო ბიუჯეტის მიღებას, ჯარის გაძლიერებას, თავდაცვის პოლიტიკას, შინაური ბრძოლის განელებას, ომის დროს «სამოქალაქო ზავს»—ერთი სიტყვით ბურჟუაზიის მთელი სამოქმედო გეგმის მიღებას და ყველა ეს კრემლის მოკავშირე რადიკალ-კომუნისტურ მთავრობის ხელმძღვანელობით.

როგორია სოციალისტური პარტიის ტაქტიკური მოხაზულობა? ის გამომუშავებულია მრავალ კონგრესებზე, დაწყებული გამაერთიანებელი ყრილობიდან ომის წინ. მთელი ეს ხაზი დაახასიათა ლეონ ბლუმმა შარშან წინ თავის ცნობილ სიტყვაში ქ. ნარბონში შემდეგ ნაირათ: «მე არ ვიღებ არც სი-

*) Populaire. 26.2.35. **) იქ. 23.8.34.

სტემატიურ ოპოზიციას ბოლშევიკებივით, არც არევას რადიკალებთან მარცხენათა ბლოკით და მინისტერიალიზმით. მე ვრჩები ერთგული პარტიის ტრადიციონული პოლიტიკისა გაერთიანებიდან. ის რომელიც იყო წარმოებული ათ წელიწადს ჟორესის მიერ და რაც ავინიონის რეზოლიუციამ დაახასიათა როგორც განჩინება ტულუზის და ამიენის: არც სისტემატიური ოპოზიცია, არც შესვლა მთავრობის და უმრავლესობის ბლოკში» (Pop 11.6.33). «არც მარცხენათა ბლოკი, არც მინისტერიალიზმი, უარყოფილი ჩვენი დოქტრინალური მოსაზრებით და გამოცდილებით, ვერ იხილავენ ჩვენს შორის ვერავითარ გასავალს» სწერდა ჟირომსკი (P. 28.1.33).

და აი მთელი ეს ისტორიულათ შემუშავებული ტაქტიკური კონცეპცია რადიკალ-კომუნისტების გავლენით უცებ, რამდენიმე თვეში, თავდაყირა იქნა გადატრიალებული. მარცხენათა ბლოკი, მინისტერიალიზმი, კოალიცია, მთელი ტაქტიკური ხაზი ნეო სოციალისტების, რისთვისაც ისინი პარტიიდან იყვენ გარიცხულნი, დღეს დაშვებულია და მის დროშის ქვეშ «სახალხო ფრონტი» თავმოყრილია. და რაც საკვირველია, ყველაზე უფრო დამცველი წინეთ თეორიის «კლასი კლასის წინააღმდეგ», შეურიგებელ-ტაქტიკის, დღეს ყველაზე უფრო დამცველია კლასთა და აზრთა ერთიმეორეში არევისა. რაკი ძირითადი, ორგანიზაციული საბრძოლველი წყობა ასე რადიკალურათ შეიცვალა, უნდა შეცვლილიყო შესაფერათ ამ ბრძოლის მიზანი და შინაარსი.

სოციალისტებმა დაუთმეს კრემლს მთავრობის საკითხში. იცვნეს ბლოკი და კოალიცია. სამაგიეროთ მას დაუდვეს სარჩულათ მთავრობის სამოქმედო პროგრამმა. მაგრამ ვინაიდან რადიკალები სოციალისტურ პროგრამას არ მიიღებენ, ამიტომ ის უარყო კრემლის რაზმმა, კომუნისტებმა და მის ალაგას წამოაყენეს წვრიმალი რეფორმები *). გამოჩნდა რომ ტაქტიკის მოკარნახეა ერიო და სტალინი და არა სცენაზე მოთამაშე სტატისტები. მილჰაუზის კონგრესმა დაადასტურა პროგრამმა. პარტიაში შეიქნა რყევა; ლება მიმართავს მას მოწოდებით: «ამხანაგებო, მომენტი კრიტიკულია პარტიისთვის; ნუ დაანებებთ მას გაქრეს სახალხო ფრონტში-უპროგრამოთ, უმიზნოთ, მხათ გახდეს მსხვერპლი ყოველნაირი მანიოვრების» **). პარტია ვერ შეკავდა, ალებულ ხაზს ლოღიკა დაურჩა, და ბოლოს ლეონ ბლუმმა გამოაცხადა: «სოციალისტური პარტია დაკმაყოფილდება დასვას მთავრობაში მისი მონაწილეობის პირობათ ორი მოთხოვნილება: პირველი დაშლა ფაშისტური ლიგების, მეორე, დაშლა პალატის». ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ბლუმი კიდევ უფრო ადაბლებს ტონს და ითხოვს ლავალის მთადგილე მთავრობაში მონაწილეობის მისაღებათ ერთ პირობას—ფაშისტების ორგანიზაციების დაშლას ***). ნაც. საბჭომ თავის ნოემბრის სხდომაზე დაადასტურა ლიდერის პოზიცია, მხოლოდ მიუმატა მოთხოვნილება—«გატეხა ფინანსიური ოლიგარხიის წინააღმდეგობის», რაიცა, რასაკვირელია, ვერ მიიღებს რადიკალების თანხმობას და დარჩება მკვდარ სიტყვათ.

როგორც ხედავთ, მთელი ტაქტიკა შებრუნებულია ფაშისტური საშიშროების გამო. ეს რასაკვირელია დიდი საფრთხეა, მისი დამარცხება, საფრანგეთის სინამდვილიდან ამოგდება აუცილებელია მაგრამ როგორ, რა საშუალებით? მარტო პოლიციური ზომებით თუ სოციალური რეფორმებით? ამის პასუხი მოგვცა მილჰაუზის კონგრესმა: «სოციალისტური პარტია მუდამ აცხადებს, რომ ყველაზე უფრო მკვიდრი საშუალება ფაშიზმთან ბრძოლაში არის ბრძოლა კრიზისთან» და სწორეთ ამ მიზნით მან წამოაყენა თავისი პროგრამმა. მაგრამ რაკი პროგრამმა მოიხსნა, მოიხსნა სოციალური მალამო ფაშისტური იარისაგან განსაკურნავათ და დარჩა ერთათ ერთი მათრახი. ამიტომ ლეონ ბლუმი თავისთავთან ლოღიკაშია როცა სწერს: «შეიძლება აუცილებელი გახდეს პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების ოკუპაცია თუნდაც კაპიტალიზმის კადრები დარჩეს ხელშეუხებელი». მას ეძლევა «დღეს ღირებულება არა დარღვევის და აშენების, დარღვევის კაპიტალიზმის კადრების, აშენების სოციალისტური რეჟიმის, არამედ ღირებულება დაცვის და გაფრთხილების» ****). ჩინებულათ ნათქვამია და რომ მართლა ამ გზით შეიძლებოდეს ფაშიზმის დამარცხება—გამოსავალი ნახულია. მაგრამ ჩვენ გვაქვს დიდი, მსოფლიო მაგალითი, როცა სოციალისტური-და დემოკრატიულ-ბურჟუაზიის ბლოკმა ვერ იხსნა ქვეყანა ფაშიზმისაგან. ეს არის გერმანია. ვერ იხსნა სწორეთ იმიტომ რომ ვერ შეამცირა ეკონომიური კრიზისი, ვერ მიიღო გადამჭრელი სოციალური ზომები და ამით ვერ წაართვა ფაშიზმს საკვები მასალა. პარტიას უკარგავს გავლენას მის მიერ შექმნილი უმწეო მთავრობა. რეპრესია პოლიტიკურათ ნაყოფიერია როცა მას მისდევს რეფორმა, როცა მათრახს პურიც მიყვება. ლება სწერდა სრულ ჭეშმარიტებას: «სანამ პროლეტარიატი იქნება დასჯილი უმუშევრობით, წვრილი ვაჭრები, ხელოსნები და გლეხები დარჩებიან დახურული ბაზრით და განახევრებული მუშტრებით, სანამ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ექნება მთავრობას, რომელიც წარმოადგენს ყოვლად შემძლე ფინანსისტების ტყვეს, მანამდე ექნება ხელსაყრელი ნიადაგი ფაშიზმის პროპაგანდას და მუშაობას» (იქ.). ეს ნამდვილი დადებითი, სოციალისტური შეხედულობა რჩება ქაღალდზე, ხოლო პრაქტიკაში ბატონდება შეხედულობა ნეგატიური, თვალსაზრისი პოლიციური.

ახლა კი გამოჩნდა რომ ამ თვალსაზრისის გასატარებლათ სრულიად არ ყოფილა საჭირო ახალი მთავრობის შედგენა, სოციალისტების მიერ «ძალაუფლების ოკუპაცია» და სხ. ის მიიღო და გაატარა თვით ლავალის მთავრობამ. მაგრამ ფაშიზმის ნიადაგი ხელუხლებელი რჩება.

თუ ფაშიზმის ნიადაგს აპოხიერებს ერთი მხრით ეკონომიური კრიზისი და მის წინაშე დემოკრატიული მთავრობის უძლურება, მეორე მხრით მას ხელს უწყობს თვით კომუნისტური პარტიის გაძლიერება. დღეს ყველამ იცის რომ სახალხო ფრონტის ზურგს უკან დგას კომუნიზმი, ხოლო კომუნიზმის ზურგს უკან კრემლი, ხელისუფლება რომელმაც დაარბია მრავალი ერი, წაართვა ყველას ყველა საკუთრება და აქცია ხალხი მასზე დამოკიდებულ ბოგანათ. აი ეს აჩრდილი დღეს თავს დასტრიალებს ფრანგებსაც და ერეკება მათ მარჯვნივ, ფაშისტებისაკენ. საზოგადოების ერთი სექტორის ბოლშევიზაცია იწვევს ბუნებრივათ მეორე სექტორის ფაშისტიზაციას. ამ გარემოებით აიხსნება ის საოცარი მოვლენა, რომ სწორეთ ამ სახალხო ფრონტის პერიოდში, ფაშისტების რიცხვი დიდათ გაიზარდა, 60 ათასიდან 700 ათასამდე ავიდა. მათი ორგანიზაციები გამაგრდენ და გადაიქცენ საშიშარ ძალათ. სწორეთ ამ მოსაზრებით ინტერნაციონალმა დაადგინა ფაშიზმთან საბრძოლველათ კოალიციის მოწყობა მხოლოდ დემოკრატიულ პარტიებთან. ბოლშევიზმი კი ფაშიზმის მკვებავია, მისი ლოგინის დამგებია. ასე იყო ყოველგან, იტალიაში, გერმანიაში, ეს მეორდება საფრანგეთში. მართლა უთქვამს ბრძენს: ერთი ხალხი მეორისაგან ვერაც სწავლობსო.

—

ამნაირათ, ერთი ფრონტის შედეგია საფრანგეთში: სოციალისტური პარტიის მიერ თავისი ფიზიონომიის დაკარგვა, თავის საკუთარ ტაქტიკაზე ხელის აღება, მისი დამოუკიდებლობის შესუსტება, საერთო «გალვანიურ ტალღაში» შეცურება, სხვისი კარნახით მოქმედება და ამავე დროს ფაშიზმის გაძლიერება. ბალანსი სავსებით პასიური, მაგალითი სავსებით უარყოფითი. ის ვერ გახდება ინტერნაციონალისათვის მისაბაძათ...

*) Popul. 28.11.34. **) იქ. 24.6.35. ***) იქ. 7.11.35; 17.11.35. ****) 1.7.35.

ევოლიუცია მარჯვნივ

სოციალიზმის მარტო ერთ ქვეყანაში დამყარების და ხუთ წლიანი გეგმის საკითხი ბოლშევიკების ძველი გვარდიისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. ბევრ სხვებთა შორის ძველ ბოლშევიკების ერთ ნაწილსაც არ სწამდა, რომ ეკონომიურათ და კულტურულათ ჩამორჩენილ და ნახევრათ ბარბაროსულ რუსეთში სოციალიზმის დამყარება შეიძლებოდეს. მათი აზრითაც საამისოთ საჭირო და აუცილებელი იყო, რომ დასავლეთ ევროპის რამოდენიმე ქვეყნებში მაინც მუშათა კლასს გაემარჯვა და ძალაუფლება ხელთ ეგდო, თვით რუსეთში კი ეკონომიურ-სოციალ მდგომარეობას ევროპიული სახე მიეღო და მით ის საერთაშორისო ურთიერთობის ფერხულში მკვიდრათ ჩაბმულიყო. სოციალიზმის განხორციელებას ისინი ინტერნაციონალური მაშტაბით მოელოდენ და არ ფიქრობდენ, რომ მისი შემოღება შესაძლებელი ყოფილიყო დეკრეტების საშუალებით ცალკე ერთ რომელიმე ქვეყანაში და ისიც ისეთ სახელმწიფოში, როგორც დღევანდელი რუსეთია. ზოგ ბოლშევიკების მიერ გაზიარებულ ამ მარქსისტულ დებულებას სტალინმა და მასთან დაკავშირებულ ხელისუფლებამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს და საბჭოთა რუსეთში სოციალიზმის «დასამყარებლათ» ხუთწლიანი გეგმა შემოიღეს.

ხუთწლიანი გეგმის დაწყებით იწყება უმთავრესათ ბოლშევიკების ძველი მოღვაწეების მოხსნა ყველა საპასუხისმგებლო პოსტებიდან, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ სფეროში, მათაც დევნიან, ციხეებში ამწყვდევენ, შორეულ ქვეყნებში სახლებენ, მათ სახელს უტეხენ და მორალურათ ანიავებენ.

ხუთწლიან გეგმის მუშაობაში უმეტესათ ახალგაზრდობას, ახალთაობას აბამენ. ეს ახალი ხალხი შესდგება ყოფილ გლეხებისაგან, მუშებისაგან, სხვა და სხვა მოსამსახურეთაგან და ბურჟუაზიულ წრეებიდან ბლომათ გამოსულებისაგან. მათ არ აქვთ არავითარი ძველი პარტიული და სოციალისტური წარსული, არავითარი იდეური აღტყინება და გატაცება. ბევრ მათგანს დიდ რევოლიუციაშიადაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. მათი მოღვაწეობა ხუთწლიანი გეგმით იწყება. მათ თავისი მდგომარეობა სტალინის და მისი კამირილას საშუალებით შეიქმნეს. ამიტომ ისინი ერთგული, მორჩილი მოსამსახურე და ჩინოვნიკებია.

ძველი ბოლშევიკები სტალინს და მის ავლადიდებას ძლიერ კარგათ იცნობენ, მას აკრიტიკებდენ და ეწინააღმდეგებოდენ. სტალინმაც თავის მხრივ ესენი უხეში ძალით დატუქსა და მათ მოსამსახურეთა და ჩინოვნიკთა «ახალი გვარდია» დაუპირდაპირა. სწორეთ ამის შედეგია ცხობილი ბოლშევიკების საზოგადოების ასპარეზიდან გადევნა და ძველ ბოლშევიკების და პოლიტ-კატორღელების საზოგადოების დაშლა დახურვა.

სტალინი ეხლა ეყრდნობა მისი და მისიანების მიერ საქმეებში ჩაბმულ და ადგილებზე დაყენებულ მოსამსახურე-ჩინოვნიკებს!

კომუნისტების ერთ ნაწილში სტალინმა დაკარგა ყოველივე გავლენა, იქ ის სძულთ, მაგრამ მისი ეშინიათ. პარტიაში ახლათ შემოსულნი, კერძო ინტერესებით და საქმეებით, და არა სოციალისტური იდეებით გატაცებულნი კი სტალინს «დიდ და გენიალურ ხელმძღვანელათ» აცხადებენ.

კომუნისტურ პარტიაში ორი ბანაკია და ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ამ წინააღმდეგობის შედეგი იყო კიროვის მკვლელობა და ეს დაპირდაპირება დღესაც გრძელდება.

სტალინი ეძებს პარტიაში არამორჩილთ და სხვანაირათ მოაზროვნეთ და ყველას ემუქრება. «პრავდა»-ს (№№ 176 და 186) მოწინავეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პარტიაში არეულ დარეულობაა გამეფებული და პარტიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელნი პარტიის დადგენილებებს სავალდებულოთ არ სთვლიან. «ესენი ხშირათ საბჭოთა კანონებსაც არღვევენ, თავის პირად ინტერესებს აყენებენ უფრო მაღლა, ვიდრე საზოგადოებრივს და პარტიულს, ფლანგავენ ხალხის ფულს, ითვისებენ მას, აწყობენ ბანკეტებს და ლოთობენ»-ო. ტროცკის და ზინოვიევის მომხრეებს ეს გაზეთი კი ჟულიკებათ და ბანდიტებათ აცხადებს და მათ წინააღმდეგ დაუზოგველ ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

თვით სტალინს კი საბჭოთა მთელი ოფიციალური პრესა გუნდრუკს უკმევს და ქებათაქებას ასხამს. რომ ეს პრესა წინასწარ დაკვეთის და დირექტივების მიღებით მოქმედებს, ეს ნათელია მისთვის, ვინც კი მას თვალყურს ადევნებს. თუ რამე კი კეთდება საბჭოთა რუსეთში, ყველაფერის ინიციატორათ და გამკეთებლათ სტალინი ცხადდება. როცა რამე კანონი გამოიცემა და მისი გამოცემა კი პოპულიარობას ვერავის შემატებს, ასეთი კანონის გამომქვეყნებას სტალინი არასოდეს ხელს არ აწერს. წინააღმდეგ, როცა კი ის ფიქრობს, რომ რომელიმე კანონის გამოცემით მისი ავტორიტეტი და პოპულიარობა აიწევს, ის ყოველთვის მას მისი ხელმოწერით აქვეყნებს. სტალინის მიერ თქმულს—უბრალო ბანალურ რამეებს საბჭოთა პრესა მისი «გენიოსობის» მარგალიტებათ გვიხატავს.

ჩეკისტ ბერიას ეხლა ამიერ-კავკასიის რევოლუციონურ ორგანიზაციების ისტორიის დაწერა მოუსურვებია და ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთელ რევოლიუციონურ მოძრაობის დასაწყისს და მის განვითარებას სტალინის მუშაობას და სახელს უკავშირებს. «მესამე დასი» მისთვის მხოლოთ ლეგალური მარქსიზმია და მეტი არაფერი. ყველა ჯურის უკლონისტ კომუნისტებიც ნაციონალისტები და ბურჟუაზიულ იდეოლოგიის მატარებელი არიან.

ბერიას «ისტორიული» ცნობები სასაცილოა და სახეში არაფრათ მისაღებია, მათზე კაცი არც კი შეჩერდებოდა, რომ მას სავსებით კვერს არ უკრავდეს «პრავდა» და «იზვესტია» და ბერიას ამ ნაცოდვილევს «უძვირფასეს განძათ» არ აცხადებდეს. აკი «სოც. ვესტნიკის» კორესპონდენტი გადმოგვცემს ვიღაც მოსკოველ კომუნისტის ირონიით ნაამბობს: სტალინი დაიბადა და მუშაობდა კავკასიაში, ამიტომ დამტკიცებულ უნდა იქნას, რომ რუსეთის რევოლიუცია კავკასიიდან დაიწყო, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მთავარი ხერხემალი განხეთქილების წინეთ და მის შემდეგაც კავკასიის პარტიული ორგანიზაცია იყო და სწორეთ ამ ორგანიზაციაში და არა ლენინის თავში დაიბადა პირველათ ბოლშევიზმის იდეა და, რაც მთავარია, ამ ორგანიზაციის ინიციატორათ, იდეოლოგათ და ხელმძღვანელათ იყო თვით სტალინიო. ყველა ესენი—ჟორდანია, ჩხეიძე, ჯიბლაძე, რამიშვილი სხვათა შორის იყვნენ და დიდ არაფერს წარმოადგენდნო.

სტალინს ლენინზე მაღლა თუ არ აყენებენ, მას ეხლა მაინც მის ტოლათ და თანაბრათ გვისახავენ.

ვის სჭირია დღეს სტალინის ავტორიტეტის და პოპულიარობის ასეთი გაზრდა და გაბერვა?

პირველ ყოვლისა ეს სჭირია იმ კამარილას, რომელიც მას გარს ახვევია, მისი მფარველობით და მასთან კავშირით სარგებლობს, საქმეებს იწყობს და ბატონობს. ეს სჭირია აგრეთვე, და უმთავრესათ, იმ აგორებულ რუსულ ნაციონალისტურ ტალღას, რომელსაც ეხლა ადგილი აქვს მთელ რუსეთში და რომელიც ცდილობს სტალინის პიროვნება შესაფერისათ გამოიყენოს.

და მართლაც, ვინ შესძლებს უკეთესათ და უფრო ბეჯითად სოციალისტების და სხვანაირათ მოაზროვნე კომუნისტების ისე დევნას და წვალებას, როგორც ამას სტალინი შვება? ვინ დააჯდება კისერზე ისე მაგრათ ჩაგრულ ერებს და შეეცდება იყოლიოს ისინი დიდ რუსეთის ფარგლებში? ვინ აწარმოებს უკეთ ულმობელ ტერორს დემოკრატიის და პოლიტიკურ თავისუფლებების წინააღმდეგ? მას ხომ საამისოთ საკმაო პრაქტიკა და გამოცდილება აქვს და ყველაფერ ამის ასასრულებლათ არავითარ საშუალებას არ ერიდება.

ასეთი კაცი საჭიროა დღეს რუსულ ნაციონალიზმს და ეს უკანასკნელიც მას აქებს და ადიდებს.

სტალინს აქებს დღეს ხუთწლიან გეგმის მუშაობაში მისი და მისიანების მიერ ჩაბმული სხვადასხვა სახის სპორტის და შეჯიბრებების მოყვარული, მაგრამ სოციალიზმისაგან კარგი მანძილით დაშორებული «ახალი გვარდია». სტალინს აქებს აგრეთვე საბჭოთა კავშირის მთავარი ძალა—წითელი არმია.

სამოქალაქო ომში გამარჯვების 15 წლის თავზე ბუდიონი, ეგოროვი და ტუხაჩევსკი ერთმანეთს ეჯიბრებოდენ და სტალინი მთავარ გმირათ, ანტანტის და თეთრი ჯარების დამმარცხებლათ გამოყავთ. ყველა ეს ომები თურმე მოგებულ იქნა სტალინის სტრატეგიის საშუალებით, რომელსაც ხელს უშლიდა მოღალატე და მოკავშირეთა და თეთრგვარდიელების ჩუმი აგენტი ტროცკიო.

ჯარში ეხლა შემოიღეს ტიტულები და ჩინები. ძველი იერარქიის, დისციპლინის და ავტორიტეტის აღსადგენათ ზომები მიღებულია. სარდლობა დიდი რუსეთის საზღვრების დასაცავათ წითელ არმიას მოუწოდებს და მას მუდამ სამშობლოს სახელს აგონებს. ხალხში ქმნიან წითელ ჯარების კულტს და ნაციონალისტურ გრძნობებს აღვიძებენ. სტალინიც მათ ბანს აძლევს და მათთან თანხმობით და ერთათ მოქმედებს. ის წითელ არმიაზე მილიარდებს ხარჯავს და მის გაძლიერებას უდიდეს ყურადღებას აქცევს. რა გასაკვირია, თუ წითელი ჯარის გენერლები მას ელოლიავებიან და აქებენ. ის მათთვის ხომ მეტათ სასარგებლო პირია.

გერმანიაში ჰიტლერმა რაიხსვერის შეიარაღება-გამაგრებისათვის დიდი შრომა და ენერგია გასწია და ის ბევრისათვის საშიშრო ძალათ გადააქცია. ჰიტლერი რაიხსვერის და მის სარდლობის აზრს და საქმეს დიდ ანგარიშს უწევს და მათ არ უპირდაპირდება.

ანალოგიურ მდგომარეობა-დამოკიდებულებაშია სტალინი და მისი კამარილა წითელ ჯართან და მის სარდლობასთან. ესენიც სტალინს თავის შეფათ და წინამძღოლათ სთვლიან, რადგან ის ამ ჯარის სულისკვეთებას და სურვილს არ ეწინააღმდეგება, მას ეგუება და მიყვება.

მეტათ საინტერესოა «სოც. ვესტნიკის» კორესპონდენტის მიერ გადმოცემული მოსკოველ კომუნისტის ნაამბობის მეორე ადგილი. ის მოგვითხრობს, რომ სტალინის ქება დიდება რუსეთში ყოველივე საზღვარს სცილდება. მლიქვნელობას, ქედის მოხრას და უსიტყვოთ დამორჩილებას ბოლო არ ელება. უბრუნდებით ძველ რუსულ ტრადიციებს, რომლის ფესვები ბიზანტიაში მიდისო. სტალინი სათავეში მოექცა გაღვიძებულ ნაციონალურ სტიქიას და «წინამძღოლობიდან» ნამდვილ მეფეთ ხდებაო. იყო თეთრი მეფე, ეხლა გვეყოლება წითელი მეფე და, თუ არა მეფე, სხვა ვინმე იქნება. შეიძლება ჩვენ ვამეტებდეთ საშიშროებას, მაგრამ სად არის იმის გარანტია, რომ ეს ასე არ მოხდება. თუ რესტავრაცია არა, ჩვენ უთუოთ ფაშიზმის მგზავსი ავტოკრატიის ახალი ფორმა გვემუქრებაო.

და მართლაც, ვინც კი თვალყურს ადევნებს და უკვირდება საბჭოთა რუსეთის ცხოვრებას, ის ადვილათ დარწმუნდება, რომ იქ ადგილი აქვს დიდ ცვალებადობას, რომ იქ ხდება მართველ ბოლშევიკურ წრეების გადაგვარება და ეს ევოლიუცია მიიმართება არა დემოკრატიზაციისაკენ, როგორც ეს ზოგ პოლიტიკურ მოღვაწეთ გონია, არამედ, წინააღმდეგ, ის მიდის მარჯვნივ ბონაპარტიზმისაკენ, ან სრულ ფაშიზმისაკენ.

პ. მ.

მოტყუების ხელოვნება

I.

«უხვი ცხოვრებისაკენ»

საბჭოთა პრესის დანიშნულება ოდნავადაც არ წააგავს სხვა—განსაკუთრებით დემოკრატიულ—ქვეყნების პრესის დანიშნულებას. კომუნისტური ექსპერიმენტების ქვეყანაში პრესა შეადგენს ხელისუფლების სრულ მონოპოლიას და მისი მოვალეობაა ურეზერვოდ გაამართლოს ხელისუფლების ყოველი ნაბიჯი, მოიწონოს ყველა მისი ღონისძიებანი; ხელისუფლების საქმიანობის დაწუნება, თავისუფალი და დამოუკიდებელი აზრის გამოთქმა კი უდიდეს დანაშაულად არის მიჩნეული. რომ ეგ მძიმე მოვალეობა ავად თუ კარგად შეასრულოს, იგი იძულებულია იცრუოს, იცრუოს ცინიკურად, საზღვარის დაუდებლად. ასეთი ცრუობის ერთ საუკეთესო სრულყოფილ მაგალითს წარმოადგენს ის შეუსაბამო რეკლამა, რომელსაც საბჭოების პრესა უკეთებს სურსათ-სანოვაგეზე ბარათების გაუქმებას. ეს ამბავი თურმე ისეთი მიუწდომელი გამარჯვებაა, რომ მისი მზგავსი ბურჟუაზიულ ქვეყნებს ძილშიაც არ ესიზმრებათ.

თფილისელ «კომუნისტში» (27-XI-35) გადმობეჭდილი «პრავდა»-ს მოწინავე, რომელიც ტრაბახისა და ტყუილების სანიმუშო ნაწარმოებს წარმოადგენს, ამ ახალ «გამარჯვებას» ასე ახასიათებს: «ბარათი გაუქმებულია ჩვენს ქვეყანაში ყველა სასურსათო საქონელზე. მოუბრუნებლად სამუდამოდ! სოციალიზმის გამარჯვებამ როგორც მრეწველობასა, ისე განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში—იგი ზედმეტი და გამოუსადეგარი გახადა. ეს მეორე ხუთწლედის უდიდესი მოვლენაა. და მისი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს დიდად სცილდება. იმ დროს, როდესაც ჩვენ უკან მოვიტოვეთ ბარათი და მივიმართებით მდიდარი, პროდუქტებით უხვი ცხოვრებისაკენ, ბურჟუაზიული ქვეყნები ევროპის შუაგულში—ფაქტიურად ნაშიმშილევ ხალხის მასებს კიდევ უფრო მკაცრ ბარათზე სხამენ, აჩვევენ მათ სუროგატების მოხმარებას, ასწავლიან მათ—შიმშილობის ხელოვნებას». მკითხველი ქვევით დაინახავს თუ როგორია ის «მდიდარი, პროდუქტებით უხვი ცხოვრება», რომლისკენაც საბჭოთა კავშირის ხალხის მასები მიიმართებიან წყალობითა კომუნისტური ხელისუფლების; აქ კი ორიოდე სიტყვით შევჩერდებით იმ «შიმშილობის ხელოვნებაზე», რომელსაც ასწავლიან თურმე «ფაქტიურად ნაშიმშილევ ხალხის მასებს» ბურჟუაზიული ქვეყნები ევროპის შუაგულში.

აბა ვინ იტყვის იმას, რომ ევროპის ქვეყნებში დღეს «ხალხის მასები» სრულიად კმაყოფილნი იყვენ და ბედნიერ ცხოვრების პირობებში ნებივრობდენ, მაგრამ იმის თქმა კი თამამად შეიძლება, რომ ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნების მცხოვრებთა მდგომარეობა შედარებით საბჭოთა კავშირთან შეიძლება ნამდვილ სამოთხეთ ჩაითვალოს. ეს კარგად ვიცით ჩვენ, ვინც აქ ვცხოვრობთ და ჩვენი საკუთარი თვალით ვხედავთ აქაურ მდგომარეობას, მაგრამ ადვილად შესაძლებელია, რომ იქ—საქართველოში—ბევრმა არ იცოდეს აქაური ვითარება და ადვილად დაიჯეროს, რომ თითქო აქ «ხალხის მასებს კიდევ უფრო მკაცრ ბარათებზე სხამენ». მე იმედი მაქვს, რომ ეგ სტრიქონები მიაღწევენ საქართველომდე და იქ გამომწყვდეულთა საყურადღებოთ უნდა ვსთქვათ, რომ ეგ «მკაცრი ბარათები» «პრავდა»-ს მოყიდულ კალმოსნის მოგონილი მორიგი სიცრუეა. ყველა პირველ მოთხოვნილების—ისე როგორც ფუფუნების—საგნები იმდენი შეგიძლია შეიძინო ყოველ ფეხის ნაბიჯზე, რამდენიც საშვალება გაქვს და მოგესურვება. ამისთვის საჭირო არ არის კუდების გამართვა და საათობით რიგში დგომა. ხშირად თვითონ გამყიდველი მოგართმევს სახლში პურს, შაქარს, კარაქს, ყველს, ხორცს და სხვა საქონელს; თან შეგიძლია თვეობით ინისიაო. საფრანგეთში სახლში მორთმეული ერთი კილოგრამი თეთრი პური ღირს 1 ფრანკი და 60 სანტიმი, რაც დაახლოვებით 12 ოქროს კაპეიკს უდრის; ერთ კილოგრამი ფხვნილი შაქარი—3 ფრანკი, ან 22 კაპ., რაფინადი—3 ფრ. და 35 სანტ., ან 25 კაპ.; საუკეთესო ხარისხის კარაქი კილოგრამი—18 ფრანკი, ან 1 მან. და 35 კაპ. საშუალო ღირსების ერთი წყვილი საცვალი ფასობს 1 ნახ.-2 მანეთი, საშუალო ღირსების კოსტიუმი 15-20 მანეთი (იგულისხმება ოქროს მანეთები).

ახლა დავუბრუნდეთ საბჭოთა კავშირის «მდიდარ, პროდუქტებით უხვ ცხოვრებას» და ვნახოთ როგორ ცხოვრობს ამ «სოციალისტურ» ქვეყანაში ყველაზე უფრო პრივილეგიურ მდგომარეობაში მყოფი მუშათა კლასი.

კომუნისტ ლასლოს *) ცნობით მუშის საშუალო თვიური ხელფასი უდრის 145 მანეთს (წითელი დირექტორები, რესპუბლიკისა და პარტიის უმაღლესი მოხელეები, ინჟინრები და ზოგი სპეციალისტები იღებენ თვეში 800-2.000 მანეთამდე; თეატრებისა და სინემების გამოჩენილი მსახიობები და ზოგი ჟურნალისტები თვეში 5-დან 15 ათას მანეთამდე; რჩეული მწერლები და მხატვრები—25-დან 50 ათას მანეთამდე, ხოლო მაქსიმე გორკი კი თვეში იღებს 100.000 მანეთამდე).

მუშა თავის საშუალო ხელფასიდან თვიურად იხდის სხვადასხვა სავალდებულო გამოქვითების სახით 23 მანეთს, რის შემდეგ მას რჩება 122 მან. თუ თვეში ვიანგარიშებთ 25 სამუშაო დღეს. დღიური ხელფასი სრულ 5 მანეთსაც კი არ შეადგენს. რას წარმოადგენს ამ ხელფასის ყიდვითი უნარი, რისი ყიდვა შეუძლია მით ქართველ მუშას? საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის მიერ დაწესებულ სახელმწიფო საცალო ფასების მიხედვით ქართველ მუშას შეუძლია იყიდოს თავისი დღიური ხელფასით 2 ნახევ. კილო თეთრი პური, ან 1 კილო

*) ლასლომ 39 თვე გაატარა საბჭოთა კავშირში; ამ ხნის განმავლობაში მას ეკავა მრავალი სხვადასხვა თვალსაჩინო თანამდებობანი.

ფხვნილი შაქარი, ან მეოთხედი კილო კარაქი, ხოლო ხორცს კი ერთ კილოსაც არ აუა ეგ ხელფასი.

კომუნისტური პარტია მუშის ასეთ მდგომარეობას დიდ მიღწევათ აცხადებს; კომუნისტური პრესა სიტყვების კორიანტელს აყენებს, ცდილობს ქვეყანა დაარწმუნოს, უკედ რომ ვთქვათ, დაატყუილოს, რომ მთელს სოფლიოში მხოლოდ საბჭოთა კავშირია ის ერთად ერთი სამოთხე, სადაც მუშის ნივთიერი მდგომარეობა დღითი დღე აღმა მიდის, მდიდარ და უხვ ცხოვრებისაკენ მიემართება, ხოლო ევროპის მუშა კი «მკაცრ ბარათზეა» დასმული და მას «შიმშილობის ხელოვნებას» ასწავლიან. საბჭოთა კავშირში «მოტყუების ხელოვნება» უმაღლეს წერტილამდეა აყვანილი. ამაში ადვილად დარწმუნდება თვით ისიც კი, ვინც კომუნისტური ტყვილებით არის გაბრუებული და გულწრფელად სჯერა კომუნისტური წრეს გადასული ტრაბახი; ამისთვის საჭიროა ის გაეცნოს ევროპის მუშის ხელფასს და მის ყიდვითი უნარს.

პარიზის მუშის რვა საათიან სამუშაო დღის საშუალო ხელფასი 40 ფრანკს უდრის. ამ ხელფასით მას შეუძლია იყიდოს 22 კილო თეთრი პური, ან 12 კილო რაფინადი (შაქარი), ან 2 კილო კარგი ხარისხის კარაქი, 4 კილო კარგი ხორცი. ერთი დღის ხელფასით იგი იყიდის 2 წყვილ საცვალს, ან ერთ წყვილ საშუალო ხარისხის ფეხსაცმელს; ხუთი დღის ხელფასი საკმარისია საშუალო ღირსების კოსტიუმის საყიდლად და სხ.

თვით აქაური უმუშევრის ნივთიერი მდგომარეობაც კი უკეთესია, ვინემ საბჭოთა კავშირის სამუშაოს მქონე მუშის. უმუშევარი, თუ იგი მარტოხელია, დღეში იღებს დახმარების სახით 10 ფრანკს და ბინის ქირას. თუ იგი ოჯახის პატრონია, დამატებით იღებს ოჯახის ყველა იმ წევრებისათვის, რომელნიც მის კმაყოფაზე იმყოფებიან. ამ 10 ფრანკის ყიდვითი უნარი უფრო დიდია ვინემ საბჭოთა კავშირის მუშის საშუალო ხელფასი, მით შეიძლება იყიდო 6 კილოზე მეტი თეთრი პური ან 3 კილო რაფინადი—შაქარი. კომუნისტური ხელისუფლება და პრესა ყოველივე ამას გულმოდგინეთ უმალავენ მათ ქვეშევრდომთ და ათასნაირ გამოგონილ ზღაპრებს ავრცელებენ ევროპის მუშების ნივთიერ მდგომარეობის შესახებ.

მოტყუების ხელოვნება უმაღლეს კულტად გადაექცათ კომუნისტურ ხელისუფლებას და მის მოყიდულ კალმოსნებს. ამიტომაც არის, რომ ამ «ხელოვნების» უკეთესი ვირტუოზები თვიურად 5-დან 15 ათას მანეთამდე იღებენ, ხოლო ყველაზე უფრო დიდი ვირტუოზი «პროლეტარიატის დიდი მწერალი» მ. გორკი 100 ათასზე ნაკლებს აღარ ჯერდება. ამავე დროს მუშას მის მათხოვრულ თვიურ საშუალო 145 მანეთიდან 23 მანეთს უქვითავენ და თან ურცხვათ არწმუნებენ, რომ მისი ხელფასი ისეთი დიდი მიღწევაა, რომლის მზგავსი ბურჟუაზიულ ევროპის ქვეყნების მუშებს სიზმარშიც კი არ უნახავთ.

ბ. არიძე.

დიდი მებრძოლი

(ხუთი წლის თავზე)

როდესაც მე-19 საუკუნის მიწურულში და, შემდეგ, ახალ საუკუნის დასაწყისიდან, 35 წლის მანძილზე, ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას თვალს გადაავლებთ, თვალს წინ დადგება უდიდესი რაზმი იმ ქართველ მოღვაწეების, რომელთაც გარდუვალ მიზნათ დაისახეს საქართველოს სოციალური და პოლიტიკური თავისუფლება და მისთვის ბრძოლა თავგანწირული!

მართალია, ეს ბრძოლა მარადის წინ მიიწევდა სხვადასხვა გზებით და მეთოდებით პოლიტიკურ ჩვენს პარტიათა შორის, მაგრამ მიზანი იყო მარად ერთი და გარდაუვალი ჩვენი აღდგენის, რომელიც საქართველოს დიად გრდემლზე განუწყვეტელი დარტყმებით იჭედებოდა.

და აი, ერთი ამ მებრძოლთაგანი იყო ნ. რამიშვილი, ჩვენს პარტიაში პეტრეთ ცნობილი, თვალსაჩინო პუბლიცისტი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე!

დღიდან ჩვენი ერის დაპყრობის, 10 წლის განმავლობაში, ჩრდილოეთიდან შემოსეულ ურდოთა წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ბრძოლებში, ნ. რამიშვილი იყო ის თავგანწირული მეომარი, რომლის სიტყვა და საქმე, მარადის ძვირფასს ხსენებით აღიბეჭდება მადლიერ ქართველ ერის განმათავისუფლებელ მატიანეში!

მისი ასპარეზი იყო პარტია, მისი ოჯახი—მშობელი ერი და კაცობრიობა, პარტია—საშვალება, მიზანი კი—ერი და მისი აღდგენა განმათავისუფლებელ ბრძოლებში!

და აი—ვერაგ მტრის წინააღმდეგ უთანასწორო შეტაკებებში დაეცა იგი—ლაჩრულ მტრის ტყვიით გულ-განგმირული!

მაგრამ ეროვნულ ბრძოლის ველს, რომელსაც ქვეყნის გულისთვის დიდმა მებრძოლმა თავი შესწირა, ისევ ჩვენი რაზმები ჰფარავენ, ისევ იმ ბრძოლებს თავგანწირვით აწარმოებს, ეროვნულ ბრძოლის ფრონტში მდგარი ჩვენი პარტია!

ჩვენ თავს გვესხმიან მტერნი ყოველ მხრივ, გარედან და შიგნიდანაც, მაგრამ ვერც ერთი მტერი დღეს ქართველი ხალხის გარდუვალ ნებას ერის აღდგენა-განმტკიცებისთვის, ვერ გაამრუდებს—და გვწამს, ხალხის ამ ნების მატარებელი საქ. ს.-დემოკრატია,—პარტია ეროვნული და ძლიერი,—ყველა ჩვენ თანამებრძოლთან ერთათ, საერთო ბრძოლის გემს გამარჯვების ნაპირამდის მიიყვანს!

დღეს ჩვენ ვიგონებთ ნ. რამიშვილის დიდ წარსულს, ვიგონებთ იმ ეკლიან გზებს და გოლგოთას, რომელზედაც ის, ვით პეტრე—სალი კლდე იდგა და ერის აღდგენისათვის მოგვიწოდებდა მტრისათვის მარად საშიში და დაუნდობელი!

5 წლის გლოვის მწვერვალზე ისევ ნათლათ სჩანს ამ პიროვნების სახე და საქმე,—საქმე დიდი და სამაგალითო!

მტრის წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდება! ბრძოლა მტკიცე და დაუნდობელი! იბრძვის ქართველი ხალხი და გვწამს—საქართველოს აღდგენის დიდ სამრეკლოზე გამარჯვების ზარი დაიგუგუნებს!

ვ—ა.

ნ. რამიშვილის ხუთი წლის თავი

8 დეკემბერს ნ. რამიშვილის ტრაღიკულად გარდაცვალების ხუთი წლის თავზე სასაფლაოზე მრავლათ შეიკრიბა ქართველი საზოგადოება. სასაფლაო ცოცხალი ყვავილებით მორთული იყო ამხანაგ-მეგობრებისაგან. სიტყვა წარმოსთქვა ამხ. პ. სარჯველაძემ, რომელიც მოგვყავს შემოკლებით:

ხუთი წელი შესრულდა რაც ქართველი ხალხის მოღალატე შვილმა ტყვიით გული გაგიგმირა, შენს საყვარელ ოჯახს მოგწყვიტა, შენს საყვარელ ოჯახს მოგწყვიტა, შენს სათაყვანებელ ქართულ საქმის სამსახურს მოგაცილა; დაეკლდა შენი მზრუნველი ხელი ეროვნულ ბრძოლის პოზიციებს. მტერმა იდღესასწაულა ქართველი ერის გლოვა, ქართველი დედის ქვითინი, დაობლებულ მებრძოლ რაზმთა მწუხარება. რაც დრო გადის მეტის სიმწვავით ვგრძნობთ უდიდეს დანაკლისს, შენი ფოლადისებურ ნებისყოფით გამოჭედილ იმედიან შემოძახებას, შენს მამა-შვილურ დარიგებას. მოსკოვის ბარბაროსული რეჟიმი ზოგიერთ მოსყიდულ, მოღალატე გადაგვარებულ შვილთა შემწეობით, მათი დახმარებით, კვლავ განაგრძნობს თავისუფლების მოყვარულ ერის დამონებას. შემოსეული წითელი ურდოები კვლავ დასეირნობენ, ძვირფასო ნოე, შენს ტურფა სამშობლოს მინდვრებზე, ქართული ოჯახი კვლავ დასტირის «ჩეკის» სარდაფებში ათასობით წამებულ შვილებს, რუსეთის ცივ-მხარეებში, თუ სხვა უცხო ქვეყნებში უდროვოთ გათხრილ საფლავებს. გრძელდება ტანჯვა წამება. გრძელდება ბრძოლაც. ბრძოლა შეუწყვეტელი, დაუნდობელი, საუკუნოებით გამოჭედილი ერის სულიერი სიძლიერე, მისი გამკლავება, ქართველთა გმირული თავგანწირვა აშკარად მოწმობენ თუ როგორი ტრფიალით, როგორის ლტოლვით, თავდავიწყებით ერი მიისწრაფის თავის განთავისუფლებისაკენ მოსკოვის უღლისაგან...

და აი მრავალფეროვან ბრძოლის ასპარეზზე, საქართველოს ყველა კუთხეში შენი ერთი მოგონება, შენი მეტყველი ენის გახსენება, კვლავ იმედის ნაპერწკლებს აფრქვევს, ბრძოლის წყურვილს აღვიძებს, გამძლეობისა და თავდადების ტალღებს აზვირთებს. უსწორო ბრძოლაში ჩაბმული, განაწამები ერის ბრძოლა არ შეწყდება, სანამ მისი ღირსეული შვილები თფილისის სასახლეზე ქართულ სისხლში ამოვლებულ დროშას არ ჩამოხსნიან და მის ალაგას თავისუფლების სამფეროვან დროშას არ ააფრიალებენ, სანამ მთაწმინდის ზარები ნაძალადევის ძმათა სასაფლაოს არ გადასძახებს ახალ აღდგომას, სანამ ძველი თფილისის გმირულ ამბავთა მესაიდუმლე მტკვარი—დღეს ქართული სისხლით შეღებილი ისევ ლიმილით არ აბუტბუტდება, სანამ ქართველი დედა დღეს შავ-ძაძებში გახვეული, კვლავ თავისუფლათ არ ჩამოჰკრავს ჩონგურზე დიდების სიმებს,—და როცა განთავისუფლებული მადლიერი სამშობლო მისთვის თავგანწირულ შვილთა სამახსოვროთ ძეგლს აღმართავს, ზედ საქართველოს რესპუბლიკის—პირველი მშენებელის, მისი კვლავ აღდგენისთვის ბრძოლის პოსტზე მტრისგან განგმირულის ბრწყინვალე სახე გამოჩნდება...

მანამდის განისვენე ჩვენო ძვირფასო ხელმძღვანელო... განისვენე იმ იმედით, იმ რწმენით, რომ მტრის მიერ შენი ხელიდან გაგდებული ეროვნული დროშა, შენგან დატოვებულ თანამებრძოლთ, შენს ერთგულ მეგობრებს და შენგანვე დაზრდილ მოწაფეთ ამაყათ და ერთგულად უჭირავთ, ისინი აგრძელებენ გზას შენგან ნაჩვენებს...

ამხ. დ. შარაშიძის გარდაცვალების გამო

სტამბოლის ქართველობა ღრმათ დამწუხრებულია დათიკო შარაშიძის დაკარგვით. ჩვენი უღრმესი თანაგრძნობა მის უდროვოთ დამწუხრებულ ოჯახს, ამხანაგებსა და მეგობრებს.

მ. ე. ბეი რასულ ზადეს სიტყვიდან:

მე გავიცანი დათიკო სტამბოლში. მქონდა სიამოვნება მეთანამშრომლა მასთან ერთად ჟურნალ «ენი-კავკაზია»-ში. მეტად სასიამოვნო იყო მასთან მუსაიფი ჩვენი გამომცემლობის შესახებ, საერთო პროპაგანდის ტაქტიკაზე მთელი კავკასიისათვის და სხ. კიდევ მეტათ სასიამოვნო იყო მისი მუდამ საინტერესო იდეური წერილების ბეჭდვა. ის იყო ნიჭიერი და კულტურული ჟურნალისტი. მისი მიმოხილვა არა მხოლოდ საქართველოს მიმდინარე ცხოვრების, არამედ მთელი მსოფლიო პოლიტიკის, განსაკუთრებული ყურადღებით იკითხებოდა ჩვენი თანამემამულენის მიერ. და თუ რაიმე შემთხვევის გამო არ იქნებოდა ჟურნალში წერილი ხელმოწერილი ინიციალ «შ»-თ—აუცილებლათ მკითხველებისგან იქნებოდა შეკითხვა თუ რატომ არ არის შ-ს წერილიო. მისმა დიდმა წერილმა საქართველოზე, რომელიც მოთავსებული იყო კრებულ «ბოლშევიზმი და ნაციონალური საკითხი»-ში, რომელსაც მეთაურობდა ჩემი რედაქტორობით საერთო ყურადღება მიიქცია. ეს კრებული გამოცემულია როგორც თათრულ, ისე სპარსულ ენაზე...

დათიკო შარაშიძის ხსოვნას.

დათიკოზე დაიწერა და უთუოთ კიდევ დაიწერება მისი პოლიტიკური თუ ლიტერატურული მოღვაწეობის ირგვლივ. მე მინდა მისი ცხოვრების ერთი ეპიზოდი აღვნიშნო. როდესაც რუსეთის იმპერია დაინგრა (1917 წელს) ეკატერინოდარიდან ორი თვის შვებულებით (როგორც მაშინ ეძახდენ «ნაობსემენენიე პალეი») თფილისში ჩამოვედი. რამოდენიმე დღის დასვენების შემდეგ მოწოდების თანახმათ მეორე საარტილერიო ბრიგადაში გამოვცხადდი. დამნიშნეს I ბატალიონში. ცოტა ხნის შემდეგ გადაყვანილი ვიქენი მეხუთეში ვ. მგალობლიშვილთან. გავედი თუ არა სამეცადინოთ, ჩემი გაკვირვება გამოიწვია მან რომ ჩემს გვერდით შევნიშნე ჩემი ახლო მეზობელი დათიკო. მეცადინეობის დამთავრებისას ვკითხე თუ რით აიხსნებოდა მისი ჯარის კაცობა (ის იმ დროს «ბორბის» რედაქტორი იყო), სად ასეთი დიდი კაცი და სად უბრალო ჯარის კაცობა მეთქი. ამ დროს მას მოუახლოვდა კიდევ ერთი ჯარის კაცი, ეტყობოდა ნასწავლი კაცი იყო. დათიკომ გამაცნო ეს ჩემი სიძეა ნ. ქარცივაძეო, და ამიხსნა, ჩემო ილიკო, ჯერ თუ ჩვენი სამშობლო არ დავიცავით ვინ დაგვაყენებს რედაქციაში; მე და ჩემი სიძე მოხალისეთ ჩავეწერეთ. დღეს პირველ რიგში მტერს პასუხის გაცემა უნდა და შემდეგ თავისუფალ სამშობლოში ვიხაროთო, ჩვენი მეცადინეობა გაგრძელდა ორი თუ სამი თვე, მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ერთი მოვალეობა გვქონდა—სამხედრო მეცადინეობა და შემდეგ ჩვენი პირადი საქმეები. დათიკო კი მეცადინეობის გათავებისას ტელეფონს მიაშურებდა ამა თუ იმ სამინისტროს ფრონტების მდგომარეობაზე ესაუბრებოდა და თუ სასიხარულოს გაიგებდა ჩქარა მოირბენდა, კარგ ამბავს გვახარებდა. როცა დათიკო ყაზარმისაკენ წამოვიდოდა მის სახეს შორიდან ვკითხულობდით, ერთი მეორეს ვეუბნებოდით დღეს დათიკო დაღონებული მოდის ეტყობა ცუდი ამბები გადმოსცესო. ერთ დღეს გახარებული სირბილით მოვიდა და მთელს ყაზარმას გადმოსძახა: ყმაწვილებო გოგუაძე ბრონევიკით, მტრის პოზიციებში შეჭრილა და რამოდენიმე საათის თავგანწირული ბრძოლის შემდეგ თათრებს დაუხევიათ, ბრძოლის ველზე ასეული დახოცილი და დაჭრილი დაუტოვებიათო. ამ სასიხარულო ამბის გაგებაზე მთელი ყაზარმა ფეხზე წამოდგა და ვაშა გოგუაძეს ძახილით დიდხანს არ დაწყნარებულა.

ამის შემდეგ დიდხანს აღარ დავრჩენილვართ თფილისში, მგალობლიშვილის მეთაურობით ახალციხის ფრონტზედ გავემგზავრეთ. ჩვენი ბატარეია საკირეზე იდგა, მე და დათიკოს ბატარეის უფროსთან ერთად სლესციის ციხის მაღლობის გაწვრივ გვიხდებოდა ყოფნა. ის თავისუფალ დროს მის პირველ ემიგრანტობის სიმწარეს აგვიწერდა, სამშობლოს დაკარგვის საშინელებაზე გვესაუბრებოდა.

25 მაისს, თუ მეხსიერება არ მღალატობს, თათრების შემოტევისას ერთ ერთმა გუნდმა უკან დაიხია, დათიკო წამოვარდა, უკან მომავალთ წინ აღუდგა და შემდეგი სიტყვებით მიმართა: მეომრებო სად მიდიხართ, სამშობლო თქვენ ამას არ გაპატიებთ, ქართველი დედები ნაცვლათ იმისა, რომ დედაშვილურის ალერსით მოგეგებონ, ქვეყნის დაცვისათვის მადლობა მოვიძღვნათ, კარებს ჩაგიკეტავთ, თქვენგან პირს იბრუნებენ. დაბრუნდით, მტერს შეხვდით, ხომ იცით დიდი ქართველის თქმულება: სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო. ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ გუნდი უკან გაბრუნდა, კვლავ ბრძოლაში ჩაება. ვინ იფიქრებდა მაშინ რომ

ა ხ ლ ო წ ა ს უ ლ ი დ ა ნ

ეს ერთი ხანია ჩვენს ემიგრანტულ წრეებში იწერება და იკითხება წერილები და მოხსენებები შესახებ ჩვენი დამარცხების სამხედრო მიზეზებისა. პირველათ ეს დაიწყეს ვარშავის ოფიცრებმა ჟურნალ «მხედარში», შემდეგ მათ აყვენ პარიზიდანაც და ყველა მათ, რასაკვირველია, მთელი ბრალდება მთავრობას დაადვეს. და ეს არა მარტო პოლიტიკურათ მოწინააღმდეგე პირებმა, არამედ კეთილგანწყობილებმაც, რომელთაგან ერთი ცნობილი თავდადებული ოფიცერი ამასწინეთ ბელგიის გაზეთში სწერდა: ჩვენი მთავრობა შედგებოდა გულუბრყვილო ხალხისაგან, ენდვენ ბოლშევიკებს და მზადებაზე ხელი აიღესო. ჩვენს ახლო მდგომ წრეებშიაც კი ასეთი აზრია გავრცელებული და საქართველოს მთავრობა უდარდელ ხალხათ დასახული. საიდან იციან მათ იყო თუ არა მზადება? არც ერთი ეს კრიტიკოსი საქმის კურსში არ ყოფილა, მონაწილეობას არ იღებდა იმ ორგანოებში სადაც ეს მზადება ხდებოდა და თუ მაინც ასე დარწმუნებით იმეორებენ ერთ და იმავე აზრს, ცხადია რაიმე წყაროდან უნდა მიეღოთ ასეთი ცნობა და მასზე დაყრდნობოდენ. საიდან? ეს წყარო ახლა გამოირკვა; ეს ყოფილა ღენ. ოდიშელიძე, სამხედრო მინისტრის ყოფილი თანაშემწე, ანუ ფაქტიურათ სამხედრო მინისტრი და იმავე დროს მთელი ჩვენი შეიარაღებული ძალების სარდალი, ე. ი. პიროვნება კომპეტენტური, მთელი საქმის მცოდნე მისი მონაწილე და გავლენიანი მეთაური. მას წაუკითხავს ამ საგანზე მოხსენება სტამბოლში, რაც უეჭველია მსმენელთ ხალას ჭეშმარიტებათ მიუღიათ და შემდეგ მასზე აუგიათ თავისი გამოლაშქრება. ამ მოხსენებაზე მართალია ლაპარაკი იყო, მაგრამ არავინ იცოდა მისი შინაარსის დაწვრილებითი მხარეები, და, ჩვენებურათ, ქართველურათ, თვითეული თავისებურათ მას გადმოგვცემდა. ეს მითქმა-მოთქმის ბურუსი ამ ბოლო დროს გაიფანტა, ოდიშელიძის მოხსენება გაზ. «კავკაზმა» დაბეჭდა, ვითომდა ჩვენი მთავრობის შესარცხვენათ და მით დამალული აშკარა გახდა. ჩვენ წინეთ სრულებით არ ვფიქრობდით ამ საგანზე რამის დაბეჭდვას, მიდებ-მოდებული ბრალდებათათვის პასუხის გაცემას. ყველას, ვისაც კი მართლა აინტერესებდა საქმის გამოძიება, შეეძლო შეესწავლა იმ საბუთებით, რომელიც არხივში ინახება. და თუ საბუთებს არავინ მოითხოვს და ისე ზეპირათ რაღაცას გაიძახის—ეს მათ ახასიათებს და არა საქმის ნამდვილ მდგომარეობას.

მაგრამ რაკი პასუხისმგებელი პირის, ღენ. ოდიშელიძის, მოხსენება დაიბეჭდა და რაც ფარდას ხდის გავრცელებულ მითქმა-მოთქმის მთავარ წყაროს—საჭიროთ დავინახეთ ამ საკითხზე შეჩერება და მისი უტყუარი დოკუმენტებით გარკვევა. ნათქვამია, განსვენებულზე ან კარგს ამბობენ ან არასო. და თუ ეს თქმულება აქ დაირღვევა, ამის პასუხისმგებლობა მოსთხოვონ ბამატს და კამპანიას, რომელნიც ოდიშელიძის ჭირისუფლათ დადგენ და მისი გათეთრება ასე დაუფიქრებლათ მოიწადინეს.

ოდიშელიძის გრძელი მოხსენების შინაარსი ასეთია: მე წარვადგინე თავის დროზე მოხსენება, მოვითხოვე მობილიზაცია, გზების და მიმოსვლის გაუმჯობესება მოსალოდნელ ომის ველზე, ბენზინის და ნავთის შეძენა, საკმაო სურსათის, იარაღის და სხ. დამზადება და სხ. და-ასკვნის: «ასრულდა კი თუნდაც ერთი ჩემი მოთხოვნა? არც ერთი?! თუმცა, განაგრძობს ის, «ამ მოთხოვნათა უმრავლესობის შესრულება შეიძლებოდა მაშინვე». ვისი მიზეზით არ შესრულდა? მიზეზი ყოფილა ნ. ჟორდანია, რომელიც «მიპასუხებდა მე და ყველას, ვინც კი ასეთი შეკითხვებით მასან მივიდოდა, დაახლოვებით ასე: ნავთი? გავძლებთ უნავთოთაც; ტანისამოსი? იარაღი? მოვიცადოთ, იოლათ წავალთ; ავიაციის ბენზინი? ფული არ გვაქვს, ძვირია» და სხ. («კავკაზ» № 7-8, 9-10). ეს არის ნამდვილი კარიკატურა, რაიცა შეეფერება უფრო მე 14 კლასის გამოგდებულ მოხელეს ძველ დროში, ვინემ დათხოვილ სარდალს. არაფერი ამის მსგავსი არასოდეს არ ყოფილა, რის უტყუარი საბუთები არსებობენ. განვიხილოთ ესენი და გავიგოთ როგორი იყო საქმის მდგომარეობა.

თავდაცვის საქმეს კრიტიკულ მომენტებში, ომის მოლოდინში, აწარმოებდა არა მთელი მთავრობა, არამედ მის მიერ შექმნილი თავდაცვის საბჭო. საბჭო პირველათ დაარსდა აზერბაიჯანის დაპყრობისთანავე მთავრობის დადგენილებით 27 აპრილს 1920 წ. განსაკუთრებითი დებულებით, რომელიც მიღებულია იმავე სხდომაზე და აღნიშნულია სხდომის ჟურნალში. საბჭოს თავმჯდომარეთ დაინიშნა მთავრობის თავმჯდომარე, წევრებათ სამხედრო, შინაგანი და საგარეო მინისტრები, ჯარის სარდალი, გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე და «ერთი სამხედრო გამოცდილი პირი»; საკითხები წყდებოდა ხმის უმეტესობით. «სამხედრო საკითხების მომხსენებელი საბჭოში არის გენერალური შტაბის ოპერატიული სექციის უფროსი» (მუხ. 5). რადგან მოსალოდნელი იყო აზერბაიჯანში შემოჭრილი საბჭოთა ჯარები საქართველოშიაც შემოჭრილიყვენ, იმავე სხდომაზე დადგენილ იქნა «გამოცხადდეს 1888, 1889, 1994 და 1895 წ. წ. დაბადებულ სათადარიგო ჯარის კაცთა და მოლაშქრეთა მობილიზაცია». თავდაცვის საბჭოს განკარგულებაში გადაიდვა სამასი მილიონი მანეთი.

საბჭო შეუდგა დაუყონებლივ მუშაობას და ღირსეულათ დახვდა მომხდურთ ფოილოს და წითელ ხიდებზე. დამარცხებული საბჭოთა ჯარი იძულებული გახდა წასულიყო ზავზე, რასაც მოყვა 20 მაისის ხელშეკრულობა. საბჭო დაიშალა.

იმავე წლის შემოდგომიდან მთავრობას მოდის ცნობები მოსკოვის აგრესიულ პლანების შესახებ. 6 ნოემბრის სხდომაზე მთავრობა ადგენს, მუდამ ოდიშელიძის მონაწილეობით, ჯარის რაოდენობა აყვანილ იქნას 40 ათასამდე მობილიზაციის წესით და გადაიდვა შესაფერისი თანხა. 4 ნოემბრის სხდომაზე დადგენილ იქნა ბენზინის შესახებ: «დაევალოს მომარაგების სამინისტროს შეიძინოს ბენზინი სტამბოლში». ხოლო 11 ნოემბრის სხდომაზე ის ადგენს «დაარსებულ იქნას თავდაცვის საბჭო იმ შემადგენლობით და დებულებით რომელიც აღნიშნულია ამ წლის 27 აპრილის დადგენილებაში». 16 დეკემბრის სხდომაზე გაუქმდა ყველა შეღავათები ჯარში გაწვეულთა ოჯახური მდგომარეობის გამო.

თავდაცვის საბჭომ დაიწყო მუშაობა 9 ნოემბერს, ქონდა 42 სხდომა, უკანასკნელი 12 თებერვალს, ომის დაწყების წინა დღეს, რომლის შემდეგ მთელი ძალაუფლება გადაეცა სარდალს. ყველა ოქმები, ყველა მისი წევრის და თავმჯდომარის ხელის მოწერით, ამათ შორის ოდიშელიძისაც, დაცულია და მართლაც შეიცავს ჩვენი მზადების დიდ მასალას. ყველა ოქმს აწერია: სრულიად საიდუმლო. საბჭოს გადაეცა სამი მილიარდი მან. ფონდი, რაიცა უდრიდა სამ მილიონ ოქროს მანეთს. 10 ნოემბერს, საყოველთაოთ გამოცხადდა, გაზეთებში და ქუჩებში, მობილიზაცია; იმავე დღეს საბჭო ადგენს: «მობილიზაციის დროს გაუქმებულია ყოველგვარი შეღავათი და გაწვეულ უნდა იქნას სამობილიზაციო წლეებში დაბადებულნი ყველა სათადარიგო და მოლაშქრე ჯარის კაცნი მიუხედავათ მათი სამოქალაქო თანამდებობისა». შემდეგ მთელ რიგ სხდომებზე არკვევს მობილიზაციის დეტალებს (ოქმები № 2, 5, 6, 8, 13, 18 და სხ.). საბჭო ადგენს: ბენზინის და რეზინის ყიდვის შესაძლებლობა სტამბოლში იქნას გამორკვეული და მას ანდობს იქაურ ჩვენს კონსულს გოგოლაშვილს (№ 11), ამავე საკითხს უბრუნდება ხშირათ და ყოველთვის ღებულობს ზომებს მის შესაძენათ (№ 33, 36, 38, 41 და სხ.). ჯარის საჭიროებისათვის დადგენილია რეკვიზიცია ბინების (№ 8, 11), შეყიდვა ცხენების (№ 9, 21, 25, 36 და სხ.), საველე სანიტარული ერთეულების მოწყობა (№ 15), ტანისამოსის, სურსათის, იარაღის, ნავთის და სხ. შეძენა (№ 15, 19, 22, 29, 41 და სხ.). 24 ნოემბრის სხდომაზე საბჭო ადგენს: «ყველა ფრონტზე მყოფი სახალხო გვარდიის ნაწილები უნდა ექვემდებარებოდენ ფრონტის უფროს და ყველა მისი განკარგულებანი დაუყონებლივ აასრულონ» (№ 13).

დეკემბრიდან უკვე იწყება ფრონტის გამართვა. 6 დეკემბრის სხდომის ოქმში ვკითხულობთ: «მოხსენება გენერალური შტაბის უფროსისა ყველა უწყებების მიერ ფრონტის მოთხოვნილებების დაუყონებლივ ასრულების შესახებ». საბჭო ადგენს: «წინადადება მიეცეს ყველა უწყებების ხელმძღვანელებს დაუყონებლივ ასრულებდენ ფრონტის ყველა მოთხოვნილებებს».

არ არის არც ერთი მაგალითი, სამხედრო უწყება რამეს ითხოვდეს და საბჭო უარს ეუბნებოდეს. პირიქით, ყველა მისი მოხსენებანი, წინადადებანი და მოთხოვნილებები მიღებულია და სისრულეში მოდის მაშინვე. საბჭოს მთავარ ფრონტათ მიაჩნდა, როგორც ოქმიდან ირკვევა, ბორჩალოს მაზრა. უეჭველია ქონდა უტყუარი ცნობები, რომ შემოტევა დაიწყება სწორეთ ამ მხრით და თუ იქ დავამარცხებთ პირველ შემოტევას, ამით შესაძლებელია გადაწყდეს ომის მთელი ბედი. ამიტომ ამ მხარეს ექცევა განსაკუთრებითი ყურადღება. საბჭო ადგენს საჩქაროთ აეწყოს აქ ფოსტა-ტელეგრაფის ქსელები, შეკეთდეს ძველი გზები, გაყვანილ იქნას ახალი, აგება ხიდეების, გაყვანა რკინის გზის ახალი შტოსი და სხ. (№ 20, 24, 39 და სხ.). ამავე დროს ადგენს: «ბორჩალოს მაზრაში და თფილისის მაზრის სამხრეთ აღმოსავლეთის ნაწილში შემოღებულ იქნას სამხედრო წესები და გენერალ-გუბერნატორის უფლებანი ამ რაიონებში მიენიჭოს სამხრეთ აღმოსავლეთის ფრონტის ჯარების უფროს» (№ 17, 3 დეკემბერი); პირველი დეკემბრის დადგენილებით ყველა იმ ადგილებში «სადაც დაბანაკებულია ჩვენი ჯარი დანიშნულ იქნას კომენდანტები და ამ უკანასკნელთ დაემქვემდებარონ ადგილობრივი ადმინისტრაცია» (№ 16). 22 დეკემბრის დადგენილებით «ბორჩალოს მაზრაში დაბანაკებულ ჯარებისათვის სურსათ-სანოვაგის მისაწვდენათ დაინიშნოს გზათა დეპარტამენტის განკარგულებით ორი ორთქლმავალი ვაგონების საკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათიკო კვლავ ემიგრანტი გახდებოდა და ნაცვლათ იმისა რომ ბახვის მშობლიურ მიწაში განესვენა აქ ლევილის მიწას მიებარებოდა.

დათიკო როცა ემიგრაციაში ვნახე მითხრა—ჩემო ილიკო მოიგონე ჩემი ნამბობი სლესტიის ციხის მაღლობზე, გადახედე სინამდვილეს და შენი აზრი მითხარიო.

დიახ ჩემო დათიკო შენ სწორი ყოფილხარ, იქ სიკვდილი ბედნიერება ყოფილა.

დათიკომ შეასრულა მისი მოვალეობა არა მარტო პოლიტიკურ დარგში, არამედ, საჭიროების დროს კალამი თოფით შესცვალა, მოწინავე პოზიციებზე წავიდა, მტერს ეკვეთა...

მშვიდობით ძვირფასო დათიკო, შენი აჩრდილი მომავალ ბრძოლებში მუდამ ჩვენთან იქნება და წინ გაგვიძღვება.

ი. სალუქვაძე.

ემიგრანტული პრესა

«კავკაზი» განაგრძობს თავის ხელობას—წასული შეაბრუნოს უკუღმა, აწმყო ასვაროს და ამ მღვრია წყალში იბადუროს. მას მოყავს ჩვენი გაზეთიდან პასუხი რუსტამბეილისა და ასკვნის: «რამდენი სიტყვა, იმდენი ტყუილია»-ო. ხოლო ქვევით ირკვევა, რომ «ტყუილი» ყოფილა მთის დაცემის ჩვენ მიერ მოთხრობილი ამბავი. მაშ როგორ მოხდა, სად არის სიმართლე—ამაზე «კავკაზი» სდუმს. ჩვენი მოთხრობის წყაროა არა ახლანდელი გამოგონება, ემიგრანტული ჭორიკანობა, არამედ ისტორიული მატიანე, თავის დროზე დღე-დღე აღნუსხული და საჯაროთ გამოცხადებული ფაქტიური მოვლენანი. ამ ამბების გაგება არც ისე ძნელია. საკმარისია გადაათვალიეროთ კავკასიის ჟურნალ-გაზეთები 1919 წ. და 1920 წ. რომ ნამდვილი ისტორია აღდგენილ იქნას. «კავკაზი» და ძმანი მათნი ახლა თხზავენ აქ, ემიგრაციაში, ჩვენი ქვეყნის წასულს, მათთვის სასიამოვნო არასასურველ ამბებს და გულუბრყვილო მკითხველთ თავზე ახვევს. ამ კომპანიაში ჩაბმულია ლენ. კვინიტაძეც, რომელზედაც ახლა ემყარება «კავკაზი»-ს მეპრესე და ისიც გვაცნობს ერთ საემიგრანტო გამოგონებას: ფოილოს ხიდიდან კავკასიას გავსწმენდდი რუსეთის ჯარებისაგან, მაგრამ მთავრობამ არ დამანებაო. ასეთი რამ თავში არ მოსვლია სარდალ კვინიტაძეს საქართველოში, ხოლო ემიგრანტი კვინიტაძე რა ფანტაზიაში გადავარდება—ეს ჩვენ არ გვაინტერესებს.

«კავკაზი»-ს მთელი ეს მიკიბულ-მოკიბული კომპანია, მთელი მისი რუსული «ოტკაზი»-ს მიზანია ერთად-ერთი—გაათეთრონ მათი აღა და ის კავკასიის გმირად გამოიყვანონ. მაგრამ ეს «გმირი» მათივე გადმოცემით მთაში არც კი ყოფილა, არც ერთ ტრაღიკულ მომენტში იქ არ ბრძანებულა, თფილისის და პარიზის ბულვარებს არ გაშორებია, ხოლო იმავე დროს მთის საგარეო მინისტრათ ითვლებოდა და მთელი საგარეო პოლიტიკის პასუხისმგებლობა თავს აწვა. ახლა კი მოუსურვებია თავი დაიძვრინოს პასუხისმგებლობიდან იმით, რომ მე იქ არ ვიყავი, დენიკინთან ურთიერთობა მე არ მეხებაო! ესე იგი საგარეო მინისტრს თურმე არ ეხება საგარეო პოლიტიკა! სწორედ შესაფერი ლიდერი ყავს ბ. შ. ამირეჯიბს და მის ამქართ!

* *

ბ. ამირეჯიბი ამავე დროს ყოფილა უებარი ადვოკატი. მან ბ. ბაიტუნგის საპასუხოთ გამოაქვეყნა ბ. ბამატის სადიდებლათ ორი დოკუმენტი, რითაც სურს დაამტკიცოს თავისი შეფის შეუდრეკელი ბრძოლა როგორც მოხალისეებთან, ისე ბოლშევიკებთან. მაგრამ სინამდვილეში ორი ეს დოკუმენტი ამტკიცებს სულ წინააღმდეგს. პირველათ ახლა ვტყობილობთ რომ ის «დროებითი მთავრობა», რომელსაც ბამატი აურჩევია მეთაურათ, შეუქმნია მოხალისეთა ღენერალს ერდელს მოხალისეთა სახელით, განსაკუთრებითი «პრიკაზით». ამ დოკუმენტს აწერია: «ბრძანება ჩრდილო-კავკასიის მთავარ სარდლის». თუ ეს მართალია, ბ. ამირეჯიბი კი გვეფიცება მართალიაო, ცხადია «გმირი» ბამატის პოლიტიკური გენეოლოგია. კიდევ უფრო საყურადღებოა მეორე დოკუმენტი. ეს არის ბ. ბამატის დეპეშა ჩიჩერინისადმი ბოლშევიკური ჯარების მოქმედებაზე ჩრდილო-კავკასიაში. ეს იმდენათ საინტერესოა, რომ არ შეიძლება არ მოვიყვანოთ ზოგი ადგილი მაინც:

...«საგარეო საქმეთა აღმოსავლეთის კომისარი ნარიმანოვი სწერდა ნაჯმუდდინ გოცინსკის: «თქვენ იცით, რომ საბჭოთა რუსეთი თავის ძალაუფლებას არ ახვევს თავზე ხალხს, თუ თვითონ მას არ სურს ის. საბჭოთა მთავრობა ცნობილობს დაღესტანის დამოუკიდებლობას». ეს დაპირებანი, მოცემული მთელი ქვეყნის წინაშე, ამხნევებდა მთიელთ უსწორო ბრძოლაში... მთიელნი გმირულათ ებრძოდენ საერთო მტერს—რეაქციას და საბჭოთა ჯარების მოსვლამდე გაანთავისუფლეს მთელი დაღესტანი და ინგუშეთის უმთავრესი ნაწილი დენიკინის ბანდებისაგან. ახლა, როცა მთიელთა კავშირის რესპუბლიკა გაწმენდილია მტრისაგან, მთიელნი ფიქრობენ დადგა მომენტი განახორციელოს საბჭოთა რუსეთმა მოცემული დაპირებანი» და სხ. («კავკაზი» № 9–10).

ამ დეპეშიდან (გაგზავნილია თფილისიდან დაუმატებთ ჩვენ) ვეცნობით ბ. ბამატის ურთიერთობას ბოლშევიკებთან; მას ჭეშმარიტებათ მიუღია მათი დაპირებანი, მტრათ დაუსახავს მარტო დენიკინელები, ხოლო ბოლშევიკები მეგობრად და როცა ეს იმედი არ გაუმართლდა—დეპეშით ითხოვს საქართველოს ტერიტორიიდან მის განაღდებას. ალბათ დეპეშამ «გასჭრა». ის დაინიშნა «დაღესტანის რევკომის» წარმომადგენლათ თფილისში.

როგორც ხედავთ, «კავკაზი»-ს რედაქტორი დიდი «გმირი» ყოფილა და მას მისი შესაფერი ადვოკატიც აუყვანია, რომლის მარცხენამ არ იცის, რასაც მარჯვენა სწერს. აღა და მოახლე ორნი არიან, ტოლნი არიან.

* *

«კავკაზი»-ს კრიტიკოსი გვწამებს თითქოს ჩვენ რაიმე წილს უდებდეთ აზერბაიჯანის ხალხს ბოლშევიკების შემოსევაში. რასაკვირველია არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. აზერბაიჯანის ხალხათ ვერ მივიღებთ ბაქოში მოსულ რუსის მუშებს და მატროსებს. ხალხის პოზიცია გამოაშკარავა განჯის ბრძოლებმა და 15 წლის თავდადებულ შეუდრეკელ მოძრაობამ ოკუპანტების წინააღმდეგ. მისი ნამდვილი შვილნი განაგრძობენ ამ ბრძოლის მეთაურობას იქ სამშობლოში და აქ უცხოეთში და სრულიად არ ურიგდებიან იმათ, ვინც ფიქრობს ერის საქმის გამოწყობას ბრძოლის შეჩერებით და ხვეწნის და ჩოქვის გაჩაღებით.

მეპრეხ.

ინგლისის არჩევნები

ამ რამდენიმე თვის წინეთ ბევრნი წინასწარმეტყველობდენ და მოელოდენ კონსერვატორების სრულ დამარცხებას ინგლისის უკანასკნელ საყოველთაო არჩევნებში. მაგრამ მათი ეს გადაჭარბებული იმედები და ილუზიები არ გამართლდა. «ნაციონალურ მთავრობამ» შეინარჩუნა ძალაუფლება და კონსერვატორების პარტია ჯერ კიდევ დიდ უმრავლესობაში დარჩა. ოპოზიცია კი მომავალ პარლამენტში იქნება უფრო მძლავრათ და მრავალრიცხოვანათ წარმოდგენილი, ვიდრე ეს წინანდელ პარლამენტში იყო.

ოპოზიციის გაძლიერება ხდება მუშათა პარტიის სასარგებლოთ და ლიბერალების განადგურებით. ნაციონალ-ტრავაისტების წარმომადგენელი და მთავარი ავტორი მუშათა პარტიის დამარცხებისა 1931 წელს—მაკდონალდი ეხლა დამარცხებულ იქნა შინველის მუშების კანდიდატის მიერ, რომელმაც მაკდონალდს 20 ათასი ხმით აჯობა და რამაც მუშათა წრეებში დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

მუშათა დამოუკიდებელი პარტია, რომელიც ერთ დროს ტრავაისტების მთავარი და ხელმძღვანელი ძალა იყო, მისი გაბოლშევიზანების და ტრავაისტების პარტიის მიტოვების შემდეგ მეტათ დასუსტდა და დაჩაჩანაკდა. მან ეხლა მხოლოთ 4 დეპუტატი გაიყვანა და 65.150 ხმა მიიღო. კომუნისტებს კი პარლამენტში ერთი წარმომადგენელი ეყოლებათ, როგორც ეს 1929 წელში იყო.

ინგლისი ხელახლა უბრუნდება კლასიკურ ორპარტიულ სისტემას. იქ ეხლა პარლანტში ორი მთავარი ძალაა—კონსერვატორები და მუშათა პარტია.

კონსერვატორების გამარჯვებას არჩევნებში დიდათ შეუწყო ხელი შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობამ. ბოლდვინის მთავრობამაც შესაფერისი მომენტი აირჩია. ისინი ფიქრობდენ, რომ სანამ იტალიის და აბისინიის შორის კონფლიქტი გრძელდებოდა და მას მწვავე ხასიათი ქონდა, ბევრი ამომრჩეველნი, მთავრობის ზოგი მოწინააღმდეგენიც კი, არ მოინდომებდენ ასეთ დროს «ნაციონალურ მთავრობის» გადაგდებას და შეცვლას. ამიტომ გადაწყვიტეს არსებულ კონფლიქტით სათანადოთ სარგებლობა.

ბოლდვინ-ჰოორ-იდენი ამ უკანასკნელ ხანებში აწარმოებდენ პოლიტიკას, რომელიც ემყარებოდა ერთა ლიგის ხაზს და სტატუტს, რის ცხოვრებაში გატარებას ენერგიულათ მოითხოვდა ინგლისის საზოგადოებრივი აზრი და მუშათა პარტია.

საშინაო პოლიტიკაშიაც მთავრობა შეეცადა ოპოზიციის ხელიდან იარაღი გამოეგლიჯა და მის მიერ გამოწვეული უკმაყოფილება დაეცხრო და დაეშოშმინებია. მან ხალხს აღუთქვა ფართე სოციალური რეფორმების გატარება, რის გამო ბოლდვინის მთავრობას მომავალში მოუხდება ამომრჩევლებისათვის სერიოზული პასუხის გაცემა.

კონსერვატორების გამარჯვებას ხელი შეუწყო აგრეთვე არსებულ საარჩევნო წესებმაც. ამ არჩევნებში ოპოზიციამ მიიღო მთელი ხმების 46 პროც., მისი ადგილები პარლამენტში კი 30 პროც. უდრის. პროპორციონალურ წარმომადგენლობას რომ ქონებოდა ადგილი, მთავრობას ეყოლებოდა არა 245, არამედ მხოლოთ 48 ხმის უმრავლესობა.

ამასთანავე მისაღებია მხედველობაში ის დიდი ნაკლი, რომელიც ქონდა მუშათა პარტიის წარმომადგენლობას უკანასკნელ პარლამენტში. მას აქ არ ყავდა მისი ძალის და გავლენის შესაფერისი ხელმძღვანელობა. იქ არ სჩანდა ერთი გარკვეული ხაზი და მოქმედება. გავიხსენოთ მისი საპარლამენტო ფრაქციის ლიდერის—ლანსბერის გადადგომა და სხ.

მიუხედავათ ყველა ამისა მუშათა პარტიამ 1931 წელთან შედარებით უკანასკნელ არჩევნებში თითქმის 2 მილიონზე მეტი ხმა მიიღო და 98 ადგილი მოიგო. და ეს უმთავრესათ შედეგი იყო იმისა, რომ ტრავაისტები არჩევნებში წმინდა სოციალისტური პროგრამით და ლოზუნგებით გამოდიოდენ და კონსერვატორების მთავრობის გასულ წლების საქმიანობას სასტიკათ აკრიტიკებდენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ინგლისის უძლავრესი კოოპერატიული ორგანიზაცია, რომლის წევრთა რიცხვი 7 მილიონს აღწევს, ტრავაისტების პარტიის მხარეზე დადგა და მას გვერდში ამოუდგა. ამ ორგანიზაციის ისტორიაში პირველჯერ არის, რომ მან ნეიტრალობა დაარღვია და მოუწოდა ყველა თავის წევრებს ხმა მისცენ მუშათა პარტიის კანდიდატებს.

ინგლისში საერთოთ, როგორც მთავრობის, ისე ოპოზიციის პრესტიჟი დიდათ არის დამოკიდებული ხმების იმ რაოდენობისაგან, რომელიც მათ არჩევნებში მიუღიათ. ამ მხრივ მთავრობის და ოპოზიციონურ პარტიების ძალა პარლამენტში და მის გარეთ დღეს ერთმანეთს სრულიათ არ ესაბამება.

ამ არჩევნებში მთავრობის მომხრეებმა დაახლოვებით 11 ნახ. მილიონი ხმა მიიღეს, ოპოზიციამ კი 10 მილიონი. კონსერვატორებს, რომელთაც 10.488.626 ხმა მიიღეს, პარლამენტში ეყოლებათ 387 დეპუტატი, მუშათა პარტიას 8.325.260 ხმით კი მხოლოთ 158 წარმომადგენელი ყავს. კონსერვატორების მთავრობას მისი დიდი უმრავლესობით შესაძლებლობა ექნება თავის სურვილისამებრ თავისუფლათ იმოქმედოს, მაგრამ ამავე დროს მას ეცოდინება, რომ ოპოზიციას აქვს თითქმის იგივე უფლება ილაპარაკოს ამომრჩეველთა მიერ ნდობით აღჭურვაზე, როგორც ამას, ცხადია, ხშირათ ხაზს გაუსვამს მართველი პარტია. პოზიციის და ოპოზიციის მიერ მიღებულ ხმებთა შორის დღეს ხომ დიდი განსხვავება არ არის. მთავრობას არ შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს იმას, რომ ინგლისის საზოგადოებრივი აზრის ცოტა ცვლილება საკმარისი იქნება, რომ პოლიტიკურ პარტიათა არსებული ძალთა განწყობილება რადიკალურათ შეიცვალოს და მომავალი არჩევნები გახდეს კატასტროფიული იმ მთავრობისთვის, რომელიც ხალხის ერთ დიდი ნაწილის სურვილს და მისწრაფებას ანგარიშს არ გაუწევს.

ერთი სიტყვით, ინგლისის მუშათა პარტია, თუმცა ის დღეს მთავრობაში არ არის, ხელახლათ გახდა მეტათ მნიშვნელოვანი ძალა და ფაქტორი ინგლისის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ამას კი დიდი გავლენა იქნება არა მხოლოთ ლონდონში, არამედ პარიზში, რომში, ბერლინში, ჟენევაში და ყველა სხვა ქვეყნების კუთხეებში. მიუხედავათ ბოლდვინის მთავრობისათვის მეტათ ხელსაყრელ პირობებისა, ინგლისის მუშათა პარტიამ თავი დააღწია იმ დიდ კატასტროფას, რომელიც მან 1931 წელს განიცადა და რასაც მისი მოწინააღმდეგენი მის სამუდამო და საბოლაო განადგურებათ სახავდენ. ეს მუშათა პარტია, რომელიც სოციალისტურ ინტერნაციონალში დღემდინაც სერიოზულ ძალას წარმოადგენდა და მისი ხერხემალი იყო, ამიერიდან იქ უფრო დიდ როლს ითამაშებს და მას კიდევ მეტ ანგარიშს გაუწევენ. და ეს ისეთი ამბავია, რომ ამისათვის ინგლისელ მუშებს მთელი ქვეყნის სოციალისტებმა და გულწრფელ დემოკრატებმა მხურვალეთ უნდა მიესალმონ და მიულოცონ.

ჯ.

მაო რიცხვით, ერთი სადგურ სანდარაზე, მეორე სანაინზე». ამავე დღეს იხსნება ბორჩალოს რკინის გზაზე და ფოსტა-ტელეგრაფზე მომუშავე სომხები და გადაყავთ საქართველოს შიგნით (№ 26); 22 ნოემბერს საბჭო ოდიშელიძის წინადადებით ადგენს: «მთავარ სარდლის დანიშვნამდე გენ. ოდიშელიძეს მიენდოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მთავარი ხელმძღვანელობა ოპერატიული მხრივ; გენ. იოსებ გედევანიშვილი დაინიშნოს რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის ჯარის სარდლათ» (№ 12); ექვს დეკემბერს იკეტება აღმოსავლეთის საზღვარი აზერბაიჯანთან (№ 19). ამავე დღეს ინიშნება სარდლები—ბათუმის ოლქის ჯარების გენ. მდივანი, ახალციხე-ახალქალაქის არტაანის გენ. წულუკიძე. ხოლო 13 დეკემბერს «რესპუბლიკის ყველა შეიარაღებულ ძალთა მთავარ სარდლათ ინიშნება გენ. ოდიშელიძე» (№ 22) და მას მიეცა საგანგებო მატარებელი ბორჩალოს მაზრაში სამოგზაუროთ (№ 24).

15 იანვარის სხდომა იხილავს ღენერალ ოდიშელიძის და ღენერალ ზაქარიაძის იმ მოხსენებას, რომელიც დაბეჭდილი იყო «კავკაზ»-ში და ადგენს: «თავდაცვის საბჭოს დადგენილება მორიგ გაწვევის დაჩქარების შესახებ განხორციელებულ იქნას დაუყონებლივ; წინადადება მიეცეს გზათა დეპარტამენტს საჩქაროთ წარმოადგინოს თავისი მოსაზრებანი წყნორის წყალის—ლაგოდეხის რკინის გზის აშენების და მოხსენებაში აღნიშნულ ბორჩალოს მაზრის გზების შეკეთების შესახებ» და სხ. სულ ყველა მოთხოვნილება მიღებულია ორ სხდომაზე (№ 33, 34); 5 თებერვლის სხდომა ადგენს: დაევალოს მთავარ-სარდალს განაგრძოს მოლაპარაკება ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლებთან სამხედრო მასალის შეძენის შესახებ (№ 40). 12 თებერვალის სხდომა ადგენს: «წინადადება მიეცეს მთავარ-სარდალს მიიღოს ყოველგვარი ზომები ბორჩალოს მაზრაში შექმნილ მდგომარეობის ლიკვიდაციისათვის და განსაკუთრებით ყურადღება მიაქციოს ჩვენი სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრების დაცვას» (№ 42).

ეს იყო საბჭოს უკანასკნელი კატეგორიული დირექტივა მთავარ-სარდლისადმი.

მეორე დღეს, 13 თებერვალს, ღამით დაიწყო მტრის შემოტევა სწორეთ ბორჩალოს მაზრიდან და მოხდა მოულოდნელი გასაშტერებელი ამბავი. ყველა ჩვენი ჯარები ერთი დაკვრით იქნა დამარცხებული, დაფანტული, განიარაღებული და გამოქცეული. აღმოჩნდა რომ არც ერთი დადგენილება საბჭოსი სარდალს არ შეუსრულებია; მაზრა სამხედრო მდგომარეობაში იყო გამოცხადებული, ხოლო ჯარები კი მშვიდობიან მდგომარეობაზე გადაყვანილი, დანაწილებული სოფლებს შორის, დაძინებული, სტრატეგიული პუნქტები დაცლილი, ნაქეიფარი, სრულიად უდარდელ მდგომარეობაში ჩაყენებული. სარდალს ოდიშელიძეს მთავრობამ დაუყონებლივ პასუხი მოსთხოვა და მან გასცა გასაოცარი პასუხი, დამნაშავეთ აღიარა ერთი სამოქალაქო პირი, რომელსაც არავითარი კავშირი არ ქონდა თავდაცვის საბჭოსთან, არ იყო წევრი მთავრობის და არც იმყოფებოდა საქართველოში. რა ჩემი ბრალია, თქვა ოდიშელიძემ, აკაკი ჩხენკელმა მოახდინა ჯარის დისლოკაცია წვრილ ერთეულებათო! ეს სახელდახელო გამოგონება ცხადათ ქმნიდა მის უდიდეს დანაშაულობას, სრულიად შეგნებულათ ჩადენილს. ამდენი შრომა, ამდენი მზადება, რაც უმთავრესათ გენერალური შტაბის უფროსის ღენერალ ზაქარიაძის უნარიანობას უნდა მიეწეროს *), ოდიშელიძემ და მისმა ამქარმა იოსებ გედევანიშვილმა ერთ ლამეს წყალში ჩაყარეს. ორივე მაშინვე დათხოვილ იქნენ და რომ საქართველოს დასცლოდა, ორივე საველე სასამართლოს იხილავდენ.

საქართველო დამარცხდა ბორჩალოში; ამით ჩაინგრა მთელი სტრატეგიული პლანი, მთელი მზადება პირველი შეტევის დასამარცხებლათ. მთელი იმედი ამ გზით მტერზე ძალდატანების თავის განზრახვებზე ხელის ასაღებათ. ეს იყო ერის დიდი ტრაღედია, ჩვენი უბედობა, რომ მეთაურათ და სარდლათ ოდიშელიძე დაგვირჩა. მან ერთი დაკვრით გაანიავა მთავრობის, თავდაცვის საბჭოს და გენერალური შტაბის შეერთებული და შეთანხმებული დიდი მუშაობა. ის ამ სირცხვილით და დანაშაულობით არ დაკმაყოფილდა და ერის უდიდესი ტრაღიკული მომენტი კარიკატურულათ წარმოადგინა. ეს პიროვნება საბედისწეროთ მოევლინა საქართველოს...

რჩება ერთი საკითხი გამოსარკვევი. რატომ მთავრობამ ჯარის რაოდენობა განსაზღვრა 40 ათასით? ჩვენ ხომ გაცილებით მეტი ჯარის გამოყვანა შეგვეძლო. ეს საკითხი გადაბმულია შეიარაღების საკითხთან, რის შესახებ დაგროვილია ბევრი მასალა. ამაზე შემდეგ.

«ბრძოლის ხმა»-ს რედაქცია.

*) სამი მეოთხედი სამხედრო მოხსენებებისა თავდაცვის საბჭოში ბ. ზაქარიაძეს ეკუთვნის.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა და პოლიტიკა

დანიის სოც.-დემოკრატიის გამარჯვება.

დანიის ქვემო პალატის არჩევნები გასულ ოქტომბერში სტაუნინგის სოციალისტური მთავრობის გამარჯვებით დამთავრდა. არასოდეს წინეთ საარჩევნო კომპანიას არ ქონია ისეთი მწვავე ხასიათი, როგორც ეს ამ უკანასკნელათ იყო. მთელი კონსერვატიული და რეაქციონური ძალები დარაზმული იყვნენ და ყოველნაირ ზომებს მიმართავდენ სტაუნინგის მთავრობის დასამარცხებლათ. მაგრამ დანიის მუშათა კლასის და სოც.-დემოკრატიის ნებისყოფის და გამარჯვების სურვილის წინაშე მისი მოწინააღმდეგენი სუსტი და უსუსური გამოდგენ.

დანიის სოც.-დემოკრატიის ლოზუნგი იყო: «სტაუნინგი, ან ქაოსი»—ესე იგი დემოკრატიული და სოციალისტური მთავრობის კონსტრუქტიულ მუშაობის გაგრძელება, ან და გამარჯვება ოპოზიციონურ პარტიებისა, რომელნიც მუდამ ერთმანეთ შორის კინკლაობენ და მართვა-გამგეობის ყოველგვარ უნარს მოკლებული არიან.

ამომრჩეველმაც თავიანთი სიტყვა სთქვეს: სოც.-დემოკრატიამ მიიღო 759.071 ხმა, 100.000 ხმით მეტი, ვიდრე 1932 წლის არჩევნებში. დღეს მას ფოლკეტინგში (ქვემო პალატა) 62 მაგიერ 68 დეპუტატი ყავს. მისი თანამოაზრეთა და მიმდევართა რიცხვი გაიზარდა ქალაქათ და სოფლადაც. ის თანდათან გავლენას იხვეჭს როგორც წვრილ გლეხთა, ისე საშუალო კლასთა შორის. კოპენჰაგენში სოც.-დემოკრატებს ორიმესამედი უმრავლესობა ყავთ. იქ მათ მიიღეს 250.078 ხმა.

არჩევნებში ასეთი გამარჯვება დანიის სოც.-დემოკრატებს ერგოთ მათი მთავრობაში 7 წლის ყოფნის შემდეგ და ეს ნათლათ ამტკიცებს იმას, რომ ამომრჩეველნი სცნობენ სტაუნინგის მთავრობის მუშაობის დადებით მხარეს.

სოც.-დემოკრატებს დღეს დანიაში ყველა ხმების 46,1 პროც. აქვთ, ესე იგი ახლო არიან, რომ აბსოლუტური უმრავლესობა მიიღონ.

წინანდელ პალატაში მთავრობის პარტიებს 76 ადგილი ქონდათ (62 სოციალ-დემოკრატი და მათთან კოალიციაში მყოფი რადიკალურ პარტიის 14 წარმომადგენელი) ოპოზიციას კი 72 დეპუტატი ყავდა.

მთავრობის მოწინააღმდეგენი, განსაკუთრებით კონსერვატორები და კომუნისტები დიდ ცდაში იყვნენ მისთვის უმრავლესობა წაერთმიათ. კომუნისტები აცხადებდნენ, რომ თუ ისინი ადგილებს მოიგებდნენ და მთავრობის წონასწორობა მათგან იქნებოდა დამოკიდებული, ისინი მზათ იყვნენ სტაუნინგის მთავრობისათვის მხარი დაეჭირათ და ერთი ფრონტი გაემართათ. მაგრამ სოც.-დემოკრატებმა კომუნისტების ასეთ წინადადებას კომინტერნის მე-7 კონგრესის შემდეგ და მანიოვრებს ეხლა უყურებდნენ და მასზე გადაჭრით უარს ამბობდნენ. სტაუნინგი ამბობდა, თუ კომუნისტები გულწრფელნი არიან, მათი კანდიდატები მოხსნანო. კომუნისტებმა ეს არ ქნეს, მაგრამ მათ მანიოვრებმაც ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღეს: კომუნისტებს ერთი ადგილიც არ მოუგიათ, ძლივს გაიტანეს ორი მათი ძველი დეპუტატი.

სტაუნინგის მთავრობა დღეს უფრო მკვიდროა, ვიდრე ეს წინეთ იყო. მას მხარს უჭერს 82 კაცი (68 სოც.-დემოკრატი და 14 რადიკალი). ოპოზიციას ყავს 66 წარმომადგენელი.

კონსერვატორების პარტიას არ გაუმართლდა იმედები არჩევნებში. მის რიგებში ნაციონალ-სოციალისტები კი სრულ არარაობას წარმოადგენენ. კონსერვატორებმა დაკარგეს ერთი ადგილი.

ყველაზე უფრო დაზიანებული არჩევნებიდან გამოვიდა გლეხთა ლიბერალური პარტია, რომელიც წლების განმავლობაში წინეთ უძლიერესი პარტია იყო დანიაში, მან 38 ადგილიდან დაკარგა 10, მათ შორის 5 სოც.-დემოკრატებმა მოიგეს.

ამ არჩევნებში სტაუნინგის მთავრობის გამარჯვება არის არა მხოლოთ რეაქციის დამარცხება, არამედ ეს მოწმობს იმასაც, რომ დანიაში ზურგს აქცევენ ყოველგვარ დიქტატორულ ცდებს და ავანტიურებს. დემოკრატიას სავსებით ენდობიან და სოციალისტურ მთავრობისაგან მის მიერ დაწყებულ შემოქმედებითი მუშაობის გაგრძელებას მოითხოვენ.

მუშების მთავრობა ახალ ზელანდიაში.

ახალ ზელანდიის მუშათა პარტიამ ნოემბრის უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში უდიდეს გამარჯვებას მიაღწია. წინანდელ პარლამენტში 80 წევრიდან მას მხოლოთ 24 დეპუტატი ყავდა. ამიერიდან კი იქ მას აბსოლუტური უმრავლესობა—52 წარმომადგენელი ეყოლება.

ახალ ზელანდიის ისტორიაში ეს პირველჯერ არის, რომ იქ მუშათა მთავრობაა, რომელსაც საშუალება ეძლევა ცხოვრებაში ტრავაისტების პარტიის პროგრამა გაატაროს.

წინანდელ «ნაციონალისტურ» მთავრობამ, რომელიც კონსერვატორებიდან და ლიბერალებიდან შესდგებოდა, ვერ მოაგვარა უმუშევრობის საკითხი, მუშათა ხელფასი თანდათან ეცემოდა და ფერმერების მდგომარეობაც უარესდებოდა.

ყველა ამ პრობლემების გადასაჭრელათ მუშათა პარტიამ დაგეგმილი ეკონომიკის პროგრამა წამოაყენა. ამ პროგრამის მთავარი მუხლია კრედიტის კონტროლი, რომლის შემწეობით უნდა გაადვილდეს უმუშევართათვის მუშაობის შოვნა, გაუმჯობესდეს ფერმერთა მდგომარეობა და სასოფლო მეურნეობაში მომუშავეთ შეუმსუბუქდეს და შეუმცირდეს მათი დავალიანება.

ახალ ზელანდიის მუშათა პარტიის ლიდერი მიხეილ სავაჟი არის ყოფილი მაღაროელი.

ეს შორეული ქვეყანა, რომელიც ასე მდიდარია მეტათ ნაყოფიერ სოციალურ ექსპერიმენტებით, ეხლა იწყებს ახალ დიად ექსპერიმენტს, რომლის განვითარებას მთელი ქვეყნიერება უდიდესი ყურადღებით მოეპყრობა.

Arpajon— Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise.*

Le Gérant : René Toussaint.